ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 18 ოქტომბერი 2001 №199 (1472) | ფასი 50 თეთრი




# ჩვენებურმა ფრანგები დაალიდავა



REUTERS

ფრანგულ-ბერძნული იავნანა: კრისტიან კარემბეუს „ლილის" კარში პირველი გოლის გამტანი ალეკოს ალექსანდრისი აუტატებია

წუხელ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის მეორე საღამოს, მოსალოდნელის გარდა გასაკვირიც ბევრი მოხდა: მოლოდინისამებრ, „ბარსელონამ" კლუივერტის და ლუის ენრიკეს გოლებით პირველი დანაკარგი აწვნია „ლევერკუზენს"; „ბაიერნმა" მიუნხენში „სპარტაკი" 5:1 დაარბია; „სელტიკის" თავკაც მარტინ ონილს წინათგრძნობა აუხდა: პორტუში მძიმე თამაში გველისო და 0:3 დამარცხდა; სასჯელმოხდილი პაველ ნედვედით გაძლიერებულმა „იუვენტუსმა" წლეულს უჩვეულოდ სუსტად მოთამაშე „რუსენბორგს" 1:0 მოუგო. მოულოდნელი კი ის იყო, რომ „დეპორტივომ" ფაბიენ ბარტეზის ორი შეცდომით ისარგებლა და „მანჩესტერს" სტუმრადაც სძლია 3:2; პრაღის „სპარტამ" კი როტერდამში 9-კაციან „ფეიენოორდს" 2:0 აჯობა და მომდევნო ეტაპზე გუშინწინ გასულ მადრიდის „რეალს" შეუერთდა; აქვე სასიამოვნოც: „ოლიმპიაკოსმა" ფრანგული „ლილი" საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ანდრო ნინიაძის (ჩვენში რომ კიურჯიევად ახსოვთ) გადამწყვეტი გოლით დაამარცხა.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# სირცხვილის თასი ბოლომდე დაილია

## -50: გამყინვარება ქართულ კალათბურთში

გუშინ ქართულ კალათბურთს მორიგი და ძალიან ხმაურიანი ალიყური აჭამეს – კორაჩის თასის პირველ მატჩში რუსეთის „ავტოდორმა" 141:91 დაამარცხა თბილისის „მაკაბი" და ქართული საკლუბო კალათბურთის ორი ანტირეკორდიც გამოცხვა:

– ქართველებისთვის ჯერ არავის ჩაუგდია ამდენი ქულა;

– ქართული კლუბი შინ 50-ქულიანი სხვაობით აქამდე არ დამარცხებულა.

ნამატჩევს „ავტოდორის" ამერიკელმა ცენტრმა ეისი ერლმა თქვა, ამ შეხვედრაში თქვენი მხრიდან მხოლოდ გულშემატკივრობა ვარგოდაო. მაყურებელმა ერთხანს უყურა თბილისელთა ცოდვილობას, მატჩის შუაწელში კი სპორტის სასახლის ტრიბუნა სანახევროდ დაიცალა. მაყურებელს არ გაემტყუნება, აბა, როგორ გინდა უქომაგო გუნდს, რომელიც:

– მეტოქეს შორი და საშუალო მანძილიდან 95-ჯერ ასროლინებს;

– მოწინააღმდეგეს 11-ჯერ დააფარებინებს;

– ფარზე ბრძოლას 55:29 წააგებს;

– და რომლის მთავარი მწვრთნელი შესვენებაზე 21-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრაზე ზრუნვის ნაცვლად ლატარიას ათამაშებს.

ჰოდა, ამიტომაც „მაკაბის" ხელმძღვანელობისა და მოთამაშეების მიმართ ბუნებრივი კითხვა გვიჩნდება:

## რა გესაქმებათ და რატომ თამაშობთ ევროპაში?!

### ქართული კლუბების ყველა მარცხი 30 და მეტი ქულით

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.10.2001 | კთ | თბილისი | მაკაბი – ავტოდორი (რუსეთი) | 91:141 | -50 |
| 10.12.1996 | თთ | პოდგორიცა | ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) – ვითა | 93:56 | -37 |
| 01.10.1996 | თთ | თბილისი | ვითა – რიელო (იტალია) | 73:104 | -31 |
| 14.09.1995 | ჩთ | კაუნასი | ჟალგირისი (ლიტვა) – ვითა | 100:69 | -31 |
| 16.09.1992 | ჩთ | ვროცლავი | დინამო – შლიონსკი (პოლონეთი) | 85:124 | -39 |
| 16.09.1992 | კთ | სოლნოკი | სოლნოკი (უნგრეთი) – შევარდენი | 101:65 | -36 |
| 14.09.1992 | კთ | სოლნოკი | შევარდენი – სოლნოკი (უნგრეთი) | 65:118 | -53 |
| 11.09.1992 | კთ | სტამბოლი | მერანი – ფენერბაჰჩე (თურქეთი) | 68:103 | -35 |
| 09.09.1992 | კთ | სტამბოლი | ფენერბაჰჩე (თურქეთი) – მერანი | 108:78 | -30 |

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




მაკაბი — ავტოდორი 91:141. გუშინ ეს ბევრჯერ იყო: ეისი ერლმა მაკაბელებს ბლომად ჩაუტენა

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. A ჯგუფი

# რეალი უკვე იქ არის

**ლოკომოტივი 0:1 რომა**

0:1 კაფუ (78)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ლეკჰეტო, იგნაშევიჩი, ჩუგაინოვი, ჩერევჩენკო, ობრადოვიჩი, იზმაილოვი, მამინოვი, ობიორაჰ, ლოსკოვი, პიმენოვი
მწვრთნელი: იური სიომინი
რომა: ანტონიოლი, ძაგო, სამუელი, ძებინა, კაფუ (ფუზერი 89), ტომაზი (ასუნსაო 83), ემერსონი, ლიმა, გიგუ, ტოტი, ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ობრადოვიჩი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
18 000 მაყურებელი

**ზოგადად** ადამიანს ტრაბახი სჩვევია. ვინაიდან, ამ მოკლე მიმოხილვის ავტორიც ადამიანებს განეკუთვნება, სიამოვნებით დაიტრაბახებს, რომ მოსკოვში ჩატარებული მატჩის სცენარი ზუსტად ისეთი გახლდათ, როგორიც წარმოედგინა. კერძოდ, ავტორი „რომასგან" ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არ მოელოდა და აკი არც მოუწყვეტია, ხოლო „ლოკომოტივი", რომ თავდადებულ, მჭიდრო და ლოგიკურ ფეხბურთს ითამაშებდა, გამოიცნო კიდეც. გამოიცნო ისიც, რომ „რომა" აუცილებლად გაიმარჯვებდა და ისიც, თამაშის მიწურულს გატანილი გოლით.

თუმცა, სჯობს ტრაბახს აქ დავუსვათ წერტილი, ვაღიაროთ, რომ ყოფილა მატჩები, როდესაც ავტორს ვერაფერი გამოუცნია და დავძინოთ, რომ, როგორც ჩანს, გაბრიელ ბატისტუტას სალეჭი რეზინის ღრაჭუნი და თან ბურთაობა არ უყვარს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ტელეეკრანზე, შეხვედრის დაწყების წინ, გამოჩნდა, როგორ გადმოაფურთხა „ბატიგოლმა" სალეჭი რეზინა და როგორ აკენწლა მიწაზე დაუგდებლად.

შემდეგ გახურდა თამაში, რომელიც ძირითადად აქეთ-იქით შეტევების ჩაშლით მიმდინარეობდა, ოღონდ მეტოქეთა შორის განსხვავება ის იყო, რომ „რომას" შეტევები დაახლოებით შვიდირვა პასის შემდეგ იშლებოდა, „ლოკომოტივისა" კი ოთხი-ხუთის. მიუხედავად ამისა, მომენტები ორივე მხარეს შეიქმნა (უფრო მეორე ტაიმში), ხოლო შეხვედრის ბოლო წუთებზე, როდესაც, ავტორის აზრით, „ლოკომოტივის" კარში გოლის გატანის დრო მოახლოვდა, სტუმრებმა ზედიზედ დაახვავეს რამდენიმე სახიფათო მდგომარეობა, რის შემდეგაც ერთ ეპიზოდში მოგერიებული ბურთი საჯარიმოს გარეთ მდგომ კაფუს მიუვიდა და მისმა ძლიერად დარტყმულმა იგორ ჩერევჩენკოს ფეხიდან ასხლეტით მიმართულება ისე იცვალა, რომ თვით „ლაციოს" მომავალმა მეკარემ (ასეთი ჭორები დაირხა) რუსლან ნიგმატულინმაც ვერაფერი მოუხერხა.


REUTERS მოსკოვიდან

ლოკომოტივი — რომა. იგორ ჩერევჩენკომ და მოსკოველებმა გაბრიელ ბატისტუტას (მარცხნივ) არ გაატანინეს, მაგრამ მაინც წააგეს

**ანდერლეხტი 0:2 რეალი**

0:1 რაული (18), 0:2 მაკმანამანი (35)
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, ილიჩი, ტრაორე, ჰენდრიქსი, ვანდერეგე, ჰასი, ბასეჯიო (ელ საიდი 46), იაშჩუკი (ო. ტომპსონი 78), დინდანე, მორნარი
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
რეალი: სესარი, რობერტო კარლოსი, პავონი, იერო (რუბენი 60), სალგადო, სელადესი, მაკელელე, მაკმანამანი (სავიო 69), გუტი (მორიენტესი 76), რაული, ფიგუ
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: დინდანე, კრასონი
მსაჯი: კნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)
21 900 მაყურებელი

**მადრიდელები** მეორე ჯგუფურ ეტაპზე არიან! პირველი ეტაპის დარჩენილი შეხვედრები, „ლოკომოტივთან" მოსკოვში და შინ „რომასთან", შეუძლიათ ახალგაზრდა თუ „რეალის" სტილთან შესარწყმელი ცნობილი ფეხბურთელების გამოცდილებად გამოიყენონ. აგრეთვე, შეუძლიათ დაღლილები დაასვენონ და ერთი ხნით მთელი ძალ-ღონე ესპანეთის ჩემპიონატზე გადართონ, თორემ იქ მეთექვსმეტე ადგილზე ყოფნა სირცხვილია.

ყველაფერი ეს კი იმიტომ შეუძლიათ, რომ ბრიუსელში „ანდერლეხტი" დაამარცხეს.

მატჩის შემდეგ „რეალის" თავკაცმა, ვისენტე დელ ბოსკემ განაცხადა: „ამ საღამოს ჩინებული „რეალი" ვიხილეთ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში „ანდერლეხტმა" გაცილებით გააუმჯობესა თამაში და ჩვენი უპირატესობის გაქარწყლება სცადა".

ემე ანტუნესი, „ანდერლეხტის" მწვრთნელი: „ჩემს ფეხბურთელებს ვთხოვე, საკუთარ კარს არ მიეჯაჭვოდნენ, მაგრამ ეს თხოვნა პირველ ტაიმში არ შემისრულეს. სწორედ ამიტომ გაგვიტანა „რეალმა" ორი გოლი. მართალია, შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსებს კიდევ ვინარჩუნებთ, მაგრამ ჩვენსა და მეტოქეებს შორის კლასში დიდი სხვაობაა. ამის შესახებ წილისყრისთანავე კარგად მოგვეხსენებოდა, ჩვენ ხომ „რეალთან" და „რომასთან" გვერგო ერთ ჯგუფში ყოფნა".

მართლაც, პირველ ტაიმში ბელგიელები სტუმრებს ფრიად უნდილ წინააღმდეგობას უწევდნენ და მათაც მეტი რა უნდოდათ, მოედნის ბატონ-პატრონებად იქცნენ. მე-17 წუთზე რობერტო კარლოსის დარტყმული რაულმა კარში გაგზავნა და ასე გაიხსნა ანგარიში — რა მნიშვნელობა აქვს, რომ გოლი ხან რაულს მიაწერეს და ხან რობერტო კარლოსს. მეორე კი ათი წუთის შემდეგ გავიდა, როდესაც მადრიდელთა ჩინებული კომბინაცია სტივ მაკმანამანის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

შესვენების შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ჩამორჩენილი გუნდი გააქტიურდა, ტემპი ასწია, ბურთისთვის ბრძოლა გაამკაცრა და შეუტია, რასაც ხელი დელ ბოსკეს ექსპერიმენტულმა ცვლილებებმაც შეუწყო, მაგრამ ამით ანგარიში არ შეცვლილა.

**ბაჩუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 12 |
| რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. B ჯგუფი

# გული მივცეთ ულიესთვის!

**დინამო 1:2 ლივერპული**

0:1 მერფი (43), 1:1 გიოანე (59), 1:2 ჯერარდი (67)
დინამო: რევა, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშჩუკი, მელაშჩენკო (იდაჰორი 79), ბელკევიჩი, გიოანე, ჩერნატი, ბოდნარი (გუსინი 55), ნესმაჩნი, გავრანჩიჩი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანჩო, ჰიპია, რიისე, მაკალისტერი, შმიცერი (რედნაპი 80), ჯერარდი, მერფი, ბარმბი (ბერგერი 61), ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი (თანაშემწე)
გაფრთხილება: ჰესკი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
50 000 მაყურებელი

**„ლივერპული"** პირველი ინგლისური კლუბი გახდა, კიევში გამარჯვება რომ შეძლო. ვალერი ლობანოვსკის გუნდმა კი ამ წაგებით ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგა.

„ბიჭების თავდადებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და ძლიერი ყოველთვის ვერ იმარჯვებს — თქვა ლობანოვსკიმ — თამაშის შემდეგ გასახდელში მოთამაშეებს მადლობა გადავუხადე. ახლა ჯგუფიდან გასვლის პრაქტიკული შანსი აღარ გვაქვს და მომავალზე უნდა ვიფიქროთ. ვისაც ჰგონია, რომ გუნდი ნახევარ, ან თუნდაც ერთ წელიწადში ყალიბდება, ნამდვილი დილეტანტია. ჩვენი ახალგაზრდა გუნდი პირველად თამაშობდა ლიგაში და დიდი გამოცდილება მიიღო". საერთოდ, პრესკონფერენციაზე, როგორც პოსტსაბჭოელ მწვრთნელებს სჩვევიათ, ლობანოვსკი ჟურნალისტების დამოძღვრით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე კონკრეტულ კითხვებზე პასუხით.

თამაში კი კარგი საცქერი გამოდგა. „დინამო" თავიდანვე ბევრს უტევდა, „ლივერპული" კი სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდი თითო თავდამსხმელით ცდილობდა ფონს გასვლას.

სტუმრები ტაიმის ბოლოს დაწინაურდნენ. სტივენ ჯერარდმა მარჯვნიდან საუცხოო გადაცემით დენი მერფი მეკარესთან პირისპირ დატოვა და ამანაც შეუჩერებლივ, ცაციათი შეაგდო, სხვათა შორის, კიეველთა კარში ფილიმონოვის შემცვლელი რევა პირველად თამაშობდა ჩემპიონთა ლიგაში.

მასპინძლებმა 59-ე წუთზე გაათანაბრეს, როცა ხალხმრავალ საჯარიმოში რუმინელმა გიოანემ ყველას დაასწრო, მაგრამ მალევე მერსისაიდელებმა გამარჯვებისა გაიტანეს. ჯერარდმა საჯარიმოში გოლოვკო გააბითურა და ძლიერად დაარტყა, ბურთი ერთ-ერთ კიეველ მცველს შეეხო და კარში აღმოჩნდა.

ნამატჩევს ლივერპულელებს, ცხადია, არც ნაოპერაციევი მთავარი მწვრთნელი ჟერარ ულიე დავიწყებიათ: „გვჯერა, რომ ეს გამარჯვება ულიეს მეტ ძალას მისცემს და მომდევნო მატჩისთვის გუნდთან ერთად იქნება — თქვა ულიეს თანაშემწე ფილ ტომპსონმა — ვამაყობთ, რომ პირველი ინგლისური კლუბი გავხდით, კიევში მოგება რომ მოახერხა".

**დორტმუნდი 2:1 ბოავიშტა**

0:1 ალეშანდრე (33), 1:1 რიკენი (50), 2:1 იან კოლერი (68)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ევანილსონი, სტევიჩი, როიტერი, დედე, რიკენი (მადუნი 90), მეცელდერი, სორენსენი (ოლისე 77), როსიცკი (იურგენ კოლერი 90), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, ერივენი, დუდა, მარსიუ სანტუში (მარტელინიო 59), ფრუშაუ, ბოსინგვა (პეტი 48), ალეშანდრე (მარიუ სილვა 70), სანჩესი
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილება: პაულუ ტურა, ბოსინგვა, რუი ოსკარი, პეტი, რიკენი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
42 000 მაყურებელი

**საინტერესო** გუნდია ჟაიმე პაშეკუს „ბოავიშტა". ჯგუფში ხომ ყველაფერი არივ-დარია და მეორე წრეში გასასვლელადაც რიხიანად იბრძვის, თანაც ყოველი მეორე ისეთი ლამაზი გოლი გააქვს, თქვენი მოწონებული. საშაბათს „ბოავიშტამ" პირველად წააგო, თუმცა შესვენებამდე ალეშანდრეს ფანტასტიკური გოლით იგებდა. სტუმართა ნახევარმცველმა 30 მეტრიდან დაარტყა და იშვიათი სიზუსტით ჩასვა ბურთი ცხრიანში.

აი, მეორე ტაიმში კი დორტმუნდელებმა ნამდვილი ცეცხლი დაანთეს. განსაკუთრებით ჩეხები, გამთამაშებელი როსიცკი და ორმეტრიანი კოლერი გამოირჩეოდნენ. ჯერ პორტუგალიელთა საჯარიმოს ხაზთან კოლერს ქუსლით ორიგინალური პასი გამოუვიდა, შედეგად რიკენი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში გათანაბრდა. მერე როსიცკიმ გამოზომილი გადაცემით კოლერი მოძებნა და ახმახმა ერთი შეხებით შეაგდო.

„დორტმუნდმა" პირველად გაიმარჯვა წლევანდელ ლიგაში და უხეირო დასაწყისის მერე ცოტა წელში გაიმართა. „ბოავიშტა" კი ფრის შემთხვევაში პრაქტიკულად ჯგუფიდან გადიოდა, მაგრამ ცოტა ხანს მოცდა მოუწევს.

„დიდი დრო დაგვჭირდა სასურველი რიტმის მისაღწევად. შესვენებაზე სერიოზული ლექციის ჩატარება მომიხდა, ფეხბურთელები დაღლილები ჩანდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი გამოსწორდებოდა" — თქვა „ბორუსიის" მწვრთნელმა მათიას ზამერმა.

**სოლომონ გულისაშვილი**



REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — ბოავიშტა. მასპინძელი იან კოლერი (უკან) და სტუმარი პედრუ ემანუელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დინამო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. C ჯგუფი

# ტიერი ძერუჟინსკი



მალიორკა — შალკე. ისე ჩანს, გელზენკირხნელმა ებე სანდმა ბურთი ხელით გაისწორა

**არსენალი 2:1 პანათინაიკოსი**

1:0 ანრი (23), 1:1 ოლისადებე (50), 2:1 ანრი (62პ)
არსენალი: რ. რაიტი, ეშლი კოული, კემბელი, აშონი, ლორენი, ვიეირა, პირესი (პარლოუ 71), ლიუნგბერგი, ვან ბრონკჰორსტი, ვილტორდი (ბერხკამპი 71), ანრი (გრიმანდი 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიქსენი, ფოკოლოსი, პაულუ სოუზა (სეიტარიდისი 78), კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 78), მიკაელსენი, კირიაკოსი, ოლისადებე, ბასინასი, კარაგუნისი (კოლკა 78), ფისასი
მწვრთნელი: იოანის კირიასტასი
გაფრთხილება: პაულუ სოუზა, ვიეირა, აშონი, კირიაკოსი, ლორენი, კოული, მიკაელსენი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
35 042 მაყურებელი

**ეს მატჩი იყო** ტიერი ანრი „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანგმა სტუმრებს ორი გოლი გაუტანა. თუ ამ მატჩის გმირებზე ვიტყვით, ანრის გვერდით ლიგის დებიუტანტი მეკარე, პენალტის მომგერიებელი რიჩარდ რაიტიც უნდა ვახსენოთ და პირველი გოლის თანაავტორი და „არსენალის" მართლაც ლიდერი პატრიკ ვიეირაც, მაგრამ მაინც: ეს იყო ტიერი ანრი „პანათინაიკოსის" წინააღმდეგ.

ერთი შეხედვით უემოციო და უჯიგრო ანრი სიტყვის კაცი ყოფილა. აკი დაექადნა ბერძნებს, ჩამოხვალთ „ჰაიბერიზე" და იქ განახებთ სეირსო. აჩვენა კიდეც და არსენ ვენგერსაც ათქმევინა, ამ ბიჭმა დიდი საღამო ჩაგვიტარაო.

თავად ფორვარდი თავის განწყობას ასე აღწერს: „მატჩის წინ ყველა იმას ამბობდა, ტიერი იან მიკაელსენს გაუხურებსო, მაგრამ მე მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდი და არა ჩხუბზე. ვიცოდი, რომ მეტოქე ჩვენს აყალ-მაყალში ჩათრევას დააპირებდა, ჰოდა, არ ავყევით და აგერ, სამი ქულაც ჩავიჯიბეთ. შესვენებაზე ერთი მათგანი რაღაცას მიყვიროდა, მაგრამ ბერძნული მე არ ვიცი და რას გავიგებდი? რაც შეეხება პენალტს, მის გატანაზე ბავშვივით ვოცნებობდი. რომ ვერ გამეტანა, ჯავრი დიდხანს გამყვებოდა. საბედნიეროდ, ზუსტად კუთხეში ჩავაჯინე. თუ დააკვირდით, გოლების გატანისასაც ზედმეტ გართულებას თავი ავარიდე და სიხარული თითქმის არ გამომიხატავს, თამაშის შემდეგ სტუმრებს ხელიც ჩამოვართვი".

აი ასე, ლამის ძერჟინსკის დარად, ანუ ცივი გონებითა და ცხელი გულით დასაჯა ანრიმ მოწინააღმდეგე, თუმცა იგივე ზაფხულში 6 მილიონად ნაყიდ რიჩარდ რაიტზეც ითქმის. „დევიდ სიმენი ახლა ინგლისის პირველი მეკარეა, მაგრამ რაიტმა დაამტკიცა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ ტიტულს ის ჩაიბარებს. საქმე მხოლოდ მოგერიებულ პენალტში როდია — რიჩარდი ინტელიგენტი და თამაშის კარგი წამკითხველია, თან არასდროს ნერვიულობს" — შეაქო დებიუტანტი ვენგერმა.

ისე, სადაც სამართალია, ბერძენთა ნიგერიელი ოლისადებეც უნდა შევაქოთ: თანაგუნდელებს მისთვის მხარი რომ აებათ, გაპოლონელებული ფორვარდის მიერ მოპოვებული პენალტი და გოლი ქულას მაინც გამოილებდა.

**გიგა ძოგახიძე**

**მალიორკა 0:4 შალკე**

0:1 ვან ჰუგდალემი (14), 0:2 ჰაიტო (21პ), 0:3 ასამოა (73), 0:4 სანდი (84)
მალიორკა: როა, ოლაიზოლა, ნადალი (ფათიბი 26), ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, კამპანო (ნოვო 75), პაუნოვიჩი, მარკოსი, დიასი (კარლოსი 56), ლუკე, ეტოო
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, მატელანი, ტონი (ნემეცი 80), ასამოა, ვან ჰუგდალემი (კმეტჩი 79), ვილმოტსი (ბიუსკენსი 74), ვერმანტი, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: ნადალი, სანდი, მარკოსი, ასამოა
გაძევება: ეტოო (26)
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
20 000 მაყურებელი

**გელზენკირხენის** „შალკეს" სამი ტურის შემდეგ ქულაც არ ჰქონდა და ახლა იმდენი მოახერხა, „მალიორკას" სტუმრად 4 უპასუხო ბურთი გაუტანა. ამან ყველაზე მეტად ესპანელთა გერმანელი მწვრთნელი ბერნდ კრაუსი ა[illegible]რალა — იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

გერმანელებმა [illegible] დაიწყეს და გამარჯვებითაც დაასრულეს, თუმცა ცხრილის ფსკერიდან მაინც ვერ დაიძრნენ.

„შალკეს" შეტევებმა პირველი ნაყოფი მე-14 წუთზე გამოიღო. საგოლე კომბინაციაში ებე სანდმა და მარკ ვილმოტსმა მიიღეს მონაწილეობა, ვან ჰუგდალემმა კი ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

პირველს მეორე მოჰყვა: 7 წუთის მერე და მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა. ასამოასთან ორთაბრძოლაში ნადალმა წესი დაარღვია, თან ისე, რომ ტრავმა მიიღო და შემდეგ შესაცვლელიც შეიქნა. თერთმეტი მეტრიდან კი ჰაიტომ დაარტყა ზუსტად.

დაბნეული „მალიორკა" რამდენიმე წუთში კიდევ უფრო გატყდა. თავდამსხმელ სამუელ ეტოოს მსაჯთან ცხარე კამათი არ გაუვიდა და გასახდელისკენ ნაადრევად მიაბრძანეს.

მეორე ტაიმი იმით დაიწყო, რომ მალიორკელმა ალბერტო ლუკემ კარგა შორიდან დარტყმული ძელს გაარტყა. ცოტა ხანში მან კიდევ ერთი შანსი გაუშვა ხელიდან, ახლო მანძილიდან მაინცდამაინც მეტოქის მეკარე ოლივერ რეკს დაუმიზნა ბურთი. „შალკემ" მეტოქის ფაცხურს უყურა, მერე კი ისევ და კიდევ უფრო დააჭირა წიხლი. მატჩის დასრულებამდე 17 წუთით ადრე ასამოამ გაისროლა თავური, რომელიც მცველებსაც გადასცდა, მეკარე კარლოს როასაც და ბადეში გაეხვა. საბოლოო წერტილი ებე სანდმა დასვა, თუმცა მანამდე შეცვლაზე შესული მიხაელ ბიუსკენსი გაირჯა კარგად: ელვის სისწრაფით შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში და ებე სანდს გადააწოდა.

მატჩის წინ გერმანელები აცხადებდნენ, ჯერ ქულა არ აგვიღია და მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა გაგვიძნელდება, ალბათ, მესამე ადგილისთვის და უეფას თასზე გადასვლისთვის ვიბრძოლებთო. ამისთვის მათ ერთი ნაბიჯი უკვე გადადგეს.

**ნიკა შუღლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| მალიორკა | 4 | 2 | 0 | 2 | 2:6 | 6 |
| არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| შალკე | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 3 |

ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. D ჯგუფი

# სტამი და სკამი: სახიფათო რითმა

**ლაციო 2:1 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 ფიორე (39), 2:0 კლაუდიო ლოპესი (55პ), 2:1 კეჟმანი (56)
ლაციო: პერუცი, კოუტუ, სტამი, ფავალი, პობორსკი (ნეგრო 72), მენდიეტა, ჯანიკედა, ბაჯარო, ფიორე (დ. ბაჯო 82), კლაუდიო ლოპესი, ს. ინძაგი (კრესპო 60)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
პსვ ეინდჰოვენი: ლოდევეიქსი, ოიერი, ფაბერი, ნიკოფორო-ვი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 65), ჰოფლანდი, ჰაინცე (ბრუგინკი 84), რომედალი, დე იონგი (ლუსიუსი 46), ფოგელი, ბუმა, კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
50 000 მაყურებელი

**„ლაციომ"** კი მოიგო, მაგრამ ეს გამარჯვება რომაელ გულშემატკივრებს გვარიან ნერვიულობად დაუჯდათ. ამის მიზეზი რამდენიმე წამყვანი მოთამაშის ტრავმაც გახლდათ. ყველაზე დიდი დანაკლისი კი, რაღა თქმა უნდა, კაპიტნის, ალესანდრო ნესტას არყოფნა იყო. რომაელთა დაცვის ხაზში სრული ქაოსი სუფევდა, მაგრამ მასპინძლები ანჯელო პერუცის უნდა უმადლოდნენ, სოლიდური ანგარიშით რომ არ წააგეს. რომაელთა მეკარემ ივაჟკაცა, თორემ ალბერტო ძაკერონის, ალბათ, ფრეც სანატრელი გაუხდებოდა. „ლაციოს" უკანახაზელები — კოუტუ, პობორკსი, ფავალი და სტამი ჯერ არ შეთამაშებულან.

ჰოლანდიელი მცველის გუშინწინდელ თამაშზე ცალკე უნდა ითქვას. მატიას კეჟმანის გოლში სტამს დიდი წვლილი მიუძღვის. „ლაციოს" კარის გასწვრივ ჩაწოდებისას, რომელსაც გოლი მოჰყვა, სტამმა უცნაური ცრუმოძრაობით მეკარეც დააბნია და თანაგუნდელებიც. რომაელმა მცველებმა ლამის წყალს გაატანეს მანამდე ლოპესის მიერ გატანილი თერთმეტმეტრიანი და მთელი ნაშრომ-ნაწვალები. ჰოლანდიელს კი, თუ ასე გააგრძელა, სათადარიგო სკამზე დაჯდომა არ ასცდება.

პერუცი შეუვალი იყო, ხან ხელით, ხან ფეხით თითქმის აულებელ ბურთებს იგერიებდა. აღნიშვნის ღირსია რომაელთა ახალწვეულის, სტეფანო ფიორეს შედეგიანი თამაშიც. გავიხსენოთ, რომ „უდინეზედან" გადასულმა ფეხბურთელმა ამ სეზონში ხეირიანი ვერაფერი გააკეთა, რის გამოც კრიტიკის ქარცეცხლში გახვიეს. მაგრამ 39-ე წუთზე სტეფანო ისე გაისარჯა, მაღალი კლასის ოსტატებს რომ სჩვევიათ — საჯარიმოში შეჭრილი წამიერად შეყოვნდა და „ეინდჰოვენის" სათადარიგო მეკარეს საუცხოო გოლი გაუტანა.

აუცილებლად უნდა ვთქვათ კლაუდიო ლოპესზეც, რომელმაც ორ მატჩში სამი ბურთი შეაგდო. ჩანს, არგენტინელი ფორვარდი გონს მოვიდა და თავისი მოვალეობა გაიხსენა. რაც შეეხება გაისკა მენდიეტას, მან რამდენჯერმე კარში ძლიერად დაარტყა, გუნდში საკუთარი ადგილი კი, ეტყობა, უკვე გამონახა.

ამ გამარჯვებით „ლაციომ" ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა.

**გალათასარაი 0:0 ნანტი**

გალათასარაი: მონდრაგონი, ფედათი, ემრე ასიქი, არიფი (ფლურკინი 73), ბიულენთ აკინი (სუათი 65), სერგენი, პერესი, სერქანი (უმით კარანი 58), ერგუნი, ჰაქან უნსალი, ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
ნანტი: ლანდრო, ფაბრი, ანდრე (ვაირუა 69), დელომო, ბერსონი, აპამადა (და როშა 65), ჯეშბა, კუინტი, არმანი, დეროფი, ზიანი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ჯეშბა, დეროფი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
22 000 მაყურებელი

**„გალათასარაიმ"**, რომელიც სტამბოლში ყოველთვის კარგად და შედეგიანად თამაშობს, „ნანტის" მეორედ წაქცევა ვეღარ მოახერხა. მასპინძელთა გამთამაშებელი სერგენი, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებული იყო, მოედანზე მაინც გავიდა, მაგრამ, ეტყობოდა, ფორმაში არ იყო. ორივე გუნდი ცხრილის სათავეშია მოქცეული, ამიტომ, ეტყობა, აღარ გარისკეს და ქულებიც გაიყვეს.

„ნანტის" კარის გასაღებს ვერ მივაგენით. ბევრი ფეხბურთელისგან მეტს მოველოდი, მაგრამ შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ. ორი ურთულესი მატჩი დაგვრჩა სათამაშო — რომში „ლაციოსთან" და შინ „ეინდჰოვენთან". ვფიქრობ, ერთი გამარჯვება გვეყოფა ჯგუფიდან გასასვლელად" — ბრძანა „გალას" თავკაცმა მირჩა ლუჩესკუმ.

შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე სერგენს შეეძლო, „გალათასარაის" ყველა პრობლემა გადაეწყვიტა, მაგრამ ჰაქან უნსალის კარგი გადაცემა ვერ გამოიყენა. საერთოდ კი, მეორე ტაიმში შეტევებიც ორმხრივი იყო და მეტოქეებიც უფრო ლიად თამაშობდნენ. უგოლო ფრე კი, ალბათ, იმის ბრალია, რომ გუნდებს შემსრულებლები აკლდათ.



გალათასარაი — ნანტი. სერქანის (№55) და სილვენ არმანის გუნდები უგოლოდ გაიყარნენ

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| ნანტი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| ლაციო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |

# ნადი! უთხრა ხალხმა

## ბერნდ კრაუსს ნაადრევად დაუზამთრდა

„შალკესთან“ ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩში განადგურებას „მალიორკას“ მწვრთნელის ბერნდ კრაუსის გათავისუფლება მოჰყვა.

„გაუშვით კრაუსი!“ — ითხოვდა 20 ათასი გულშემატკივარი, რომლებიც სამშაბათ საღამოს პალმა დე მალიორკას სტადიონზე შეკრებილიყვნენ. პრეზიდენტი მატეო ალემანიც უმალ დაემორჩილა კლუბის ფანების მოთხოვნას. მან განაცხადა: „ჩვენი ქომაგები იმსახურებენ იმას, რომ უკეთეს თამაშს უცქირონ. უახლოეს მომავალში ვითარების სასიკეთოდ შესაცვლელად ყველაფერს ვილონებთ“.



ბერნდ კრაუსი

„მალიორკას“ საქმეები პრიმერადივიზიონშიც ცუდად მისდის, რვა ტურში ჯერ საშინაო მატჩი არ მოუგია და სამად-სამი გოლის გამტანი მეთვრამეტე ადგილზეა.

შარშანდლის შემდეგ ეს აშკარა კატასტროფაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ წინა სეზონი მაჟორულ ნოტაზე სხვა სპეციალისტმა, ლუის არაგონესმა დაასრულა, რომელიც შემდეგ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა სამუშაოდ.

კრაუსი „მალიორკას“ ივნისიდან ხელმძღვანელობს. 44 წლის გერმანელს მანამდე „რეალ სოსიედადისა“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მწვრთნელად უმუშავია. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც კრაუსი აქამდე შერჩა ესპანურ კლუბს, ჩემპიონთა ლიგაში მოპოვებული ორი (ერთი „არსენალთან“) გამარჯვებაა.

თავად კრაუსს ჟურნალ „კიკერისთვის“ ცოტა ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში უთქვამს, არ ვარ დარწმუნებული, რომ პოსტს ზამთრამდე შევინარჩუნებ, ზეწოლა დიდია, განსაკუთრებით პრესისგანო.

აქვე ვთქვათ, რომ „მალიორკა“ პრიმერადივიზიონის მომდევნო ტურში მასავით გაჭირვებულ „რაიო ვალეკანოს“ უნდა შეხვდეს. ბალეარული კლუბის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არ გამოუცხადებია, თუ ვის დააკისრებს მწვრთნელობას.

**ნიკა ზუბლაძე**

### უეფას თასი. მეორე ეტაპი

პირველი მატჩები

UEFA CUP

**ვიკინგი** (ნორვეგია) 0:1 **ჰერტა** (გერმანია)
0:1 პრეეცი (5)
**როდა** (ჰოლანდია) 4:1 **მაკაბი** (თელ ავივი, ისრაელი)
1:0, 2:0 სოტერსი (4, 36), 3:0 ბერგლუნდი (54), 3:1 ფ. პორვატი (78), 4:1 ფათიმ სონქაია (82)

# ალექსიძე შიშველ ვიკინგებზე გულადია

**უეფას თასის** ორი მატჩი სამშაბათს გაიმართა. ბერლინის „ჰერტა“ ნორვეგიას ეწვია. გერმანული გუნდი ტრავმირებული სებასტიან დაისლერის გარეშე ჩავიდა სკანდინავიაში. ორშაბათს საინტერესო ფაქტი მოხდა სტავანგერში, ქალაქში, რომლის გუნდიც „ვიკინგია“. როგორც ამბობენ, ფეხბურთელებს ფორმები მოჰპარეს, თუმცა ვერ გეტყვით, ეს იყო მიზეზი თუ სხვა რამ, მასპინძლებმა „ჰერტას“ კარის დაჭაშნიკება ვერ მოახერხეს. ბერლინელთაგან ერთადერთი გამარჯვების გოლი უბერებელმა პრეეცმა მეხუთე წუთზე გაიტანა და მატჩი ასეც დასრულდა.

ჰოლანდიურმა მაჩანჩალა „როდამ“ ებრაული „მაკაბი“ სამბურთიანი სხვაობით დაამარცხა, რაც სოლიდური ფორაა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ დღევანდელ მატჩში, რომელიც თელ ავივში, „ჰაპოელსა“ და „ჩელსის“ შორის შედგება, ლონდონელებს ექვსი ფეხბურთელი არ ეყოლებათ. ინგლისიდან შორს, ხიფათში გახვევისა შეშინებიათ არისტოკრატებს. ეს ექვსეულია: მარსელ დესაი, ემანუელ პეტი, ეიდურ გუდიონსენი, გრემ ლე სო, უილიამ გალასი და ალბერტ ფერერი. „ჩელსის“ გენერალურმა დირექტორმა კოლინ ჰატჩისონმა ბრძანა, რომ ფეხბურთის გარდა არსებობს მეორე მხარეც — ოჯახი, რომლის წევრებისგანაც მოთამაშენი ერთგვარ ზეწოლას განიცდიან.

სხვათა შორის, რანიერიმ თელ ავივში ქართველი რატი ალექსიძე იახლა. ეს ამბავი სწორედ რატის ოჯახმა შეგვატყობინა

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS

ვიკინგი — ჰერტა. სტუმარი ალექს ალვეში (მარცხნივ) ბიორნ დალს ბურთს არ ანებებს

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

ესეც ფიფას ახალი, ოქტომბრის რეიტინგი, ოღონდ მისი ხსენებისას „კოკა კოლაც“ არ უნდა გამოგვრჩეს.

თუმცა ჩვენ სხვა რამ — ამ რეიტინგში საქართველოს ადგილი გვაინტერესებს, რომელიც ამჟამად ორმოცდამეცხრამეტეა.

კარგი შედეგია ეს თუ ცუდი? ალბათ, არც კარგია და არც ცუდი.

ცუდი იმიტომ არ არის, რომ რეიტინგში 144 ქვეყანას ვუსწრებთ და ყოფილ საბჭოელთაგანაც ოდენ რუსეთს და უკრაინას ჩამოვრჩებით. არადა, ისეთი დროც გვახსოვს, ლიტველებიც კი ჩვენზე წინ რომ იყვნენ.

მაგრამ, მეორე მხრივ, რაა ორმოცდამეცხრამეტე ადგილი მათთვის, ვინც გულზე მუშტებს ირტყამს და გაიძახის, ჩვენ ქართველები...

ერთი კია, ახლა, როცა საქართველომ რუმინეთთან საგარეო ქულის წყალობით წინა თვის პოზიცია შეინარჩუნა, რამდენიმე ევროპული ქვეყანა ჩამოგვრჩა. ეს კი, შესაძლოა, გახდეს იმის წინაპირობა, რომ საქართველო ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის წილისყრისთვის მესამე კალათაში მოხვდეს. უეფამ საევროპოდ 10 ხუთგუნდიანი ჯგუფის შექმნა გადაწყვიტა და ევროპის 30-ე გუნდიც, წესით, სწორედ მესამე კალათაში უნდა განითესოს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში მეხუთე პორტუგალის ნაკრები მასპინძლის უფლებით შესარჩევი ტურნირიდან გათავისუფლებულია, უახლოესი ევროპელი მდევარი შვეიცარია კი ჩვენს ნაკრებს 9 ქულით ჩამორჩება, 25 იანვრამდე არაფერი უნდა შეიცვალოს

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | საფრანგეთი | 816 |
| 2 | 2 | ბრაზილია | 799 |
| 3 | 3 | არგენტინა | 796 |
| 4 | 4 | იტალია | 739 |
| | 5 | პორტუგალია | 739 |
| 6 | 6 | ესპანეთი | 730 |
| 7 | 8 | ჰოლანდია | 724 |
| 8 | 7 | კოლუმბია | 723 |
| 9 | 9 | ინგლისი | 716 |
| 10 | 14 | ჩეხეთი | 713 |
| 11 | 10 | მექსიკა | 709 |
| | 13 | იუგოსლავია | 709 |
| 13 | 11 | პარაგვაი | 705 |
| 14 | 12 | გერმანია | 695 |
| 15 | 15 | რუმინეთი | 694 |
| 16 | 16 | ხორვატია | 685 |
| 17 | 18 | დანია | 682 |
| 18 | 17 | შვედეთი | 678 |
| 19 | 19 | აშშ | 670 |
| 20 | 21 | ირლანდია | 669 |
| 21 | 24 | რუსეთი | 660 |
| 22 | 23 | ნორვეგია | 658 |
| 23 | 21 | ურუგვაი | 656 |
| 24 | 20 | ჰონდურასი | 654 |
| 25 | 25 | ტუნისი | 643 |
| 26 | 28 | იაპონია | 633 |
| | 31 | სლოვენია | 633 |
| 28 | 27 | პოლონეთი | 632 |
| 29 | 29 | კოსტა რიკა | 630 |
| 30 | 35 | საუდეთის არაბეთი | 628 |
| 31 | 35 | ტრინიდადი | 627 |
| 32 | 30 | სამხრეთ აფრიკა | 626 |
| 33 | 26 | ბელგია | 625 |
| 34 | 34 | თურქეთი | 624 |
| 35 | 38 | ირანი | 621 |
| 36 | 32 | მაროკო | 617 |
| 37 | 37 | ჩილე | 609 |
| 38 | 39 | კამერუნი | 608 |
| | 46 | ეკვადორი | 608 |
| 40 | 40 | ეგვიპტე | 604 |
| | 42 | სლოვაკეთი | 604 |
| 42 | 40 | ნიგერია | 602 |
| 43 | 43 | სამხრეთ კორეა | 599 |
| 44 | 33 | უკრაინა | 596 |
| 45 | 44 | პერუ | 594 |
| 46 | 45 | კოტ დივუარი | 593 |
| 47 | 48 | შოტლანდია | 589 |
| 48 | 51 | ავსტრალია | 586 |
| 49 | 52 | ფინეთი | 583 |
| 50 | 47 | ისრაელი | 579 |
| 51 | 48 | ბულგარეთი | 576 |
| 52 | 54 | იამაიკა | 568 |
| 53 | 50 | ავსტრია | 564 |
| 54 | 52 | ისლანდია | 563 |
| 55 | 59 | ჩინეთი | 562 |
| 56 | 55 | ანგოლა | 561 |
| 57 | 59 | საბერძნეთი | 556 |
| 58 | 66 | საამიროები | 553 |
| 59 | 59 | **საქართველო** | 552 |
| 60 | 57 | განა | 546 |
| 61 | 58 | ზამბია | 545 |
| 62 | 59 | გვატემალა | 543 |
| | 55 | შვეიცარია | 543 |

მეორე სვეტში მითითებულია ადგილი სექტემბრის რეიტინგში

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „რეალ სოსიედადის“ მთავარი მწვრთნელის ჯონ ტოშაკის თანაშემწე შესაძლოა ხუან მანუელ ლილიო გახდეს. ამის თაობაზე თვით ლილიომ განაცხადა კვირას მადრიდში ჟურნალისტებთან საუბრის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ტოშაკი თავის მომავალ კონსულტანტს ყოველთვის კარგი თვალით უყურებდა.

**იტალიური „ვენეციას“ მთავარ მწვრთნელად ყველასგან მოულოდნელად ალფრედო მანი დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ წინა კვირას გათავისუფლებულ ჩეზარე პრანდელის ნაცვლად დანიშნულმა ჯუზეპე იაკინიმ პირველივე მატჩში, სტუმრად „მილანთან“, კლუბს ქულა მოაპოვებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამან ვერ უშველა. იტალიის მწვრთნელთა ასოციაციის განცხადებით, ამ სპეციალისტს სერია A-ში მწვრთნელობისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია არ ჰქონია.**

**დანიის** ნაკრებისა და „ჩარლტონის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ალან სიმონსენმა განაცხადა, რომ ნოემბერში დატოვებს ფარერის კუნძულებს და შოტლანდიის ნაკრებს ჩაიბარებს. დანიელმა სპეციალისტმა ასევე დასძინა, რომ მისით სხვა ქვეყნების ნაკრებებიც იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ ყველას სქოთები არჩია. სიმონსენი, რომელიც ერთ დროს „ბარსელონასა“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ თამაშობდა, ფარერის კუნძულების ნაკრების მწვრთნელად 1994 წელს დაინიშნა, კუნძულელებს 52 თამაში ჩაატარებინა და ევრო 2000-ის ერთ-ერთ შესარჩევ მატჩში შოტლანდიას 1:1 დაუზავდა.

### ინგლისი

I დივიზიონი

**გადადებული მატჩები**

**მანჩესტერ სიტი 0:0 შეფილდ იუნ.**

**შეფილდ უენსდი 1:2 პრესტონი**
1:0 სიბონი (27), 1:1 რანკინი (46), 1:2 მაკენი (80)

**სტოკპორტი 1:2 ვესტ ბრომვიჩი**
0:1, 0:2 ტეილორი (10, 61), 1:2 ფრედინი (88)

**უოლვერჰემპტონი 0:1 ძრიუ**
0:1 პალსი (63)

**კრისტალ პალასი 2:0 ბრედფორდი**
1:0, 2:0 მორისონი (18, 90)

**მილუოლი — უოტფორდი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 12 | 8 | 3 | 1 | 23:10 | 27 |
| კრ. პალასი | 11 | 8 | 0 | 3 | 31:16 | 24 |
| ბარნლი | 12 | 7 | 1 | 4 | 27:19 | 22 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 7 | 1 | 5 | 16:12 | 22 |
| ნორვიჩი | 12 | 7 | 1 | 4 | 15:15 | 22 |
| სიტი | 12 | 6 | 2 | 4 | 29:22 | 20 |
| მილუოლი | 12 | 6 | 2 | 4 | 18:12 | 20 |
| ქოვენტრი | 11 | 6 | 2 | 3 | 14:9 | 20 |
| პორტსმუთი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:18 | 18 |
| ნოტინგემი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:8 | 18 |
| ბირმინგემი | 11 | 5 | 2 | 4 | 19:16 | 17 |
| ბრედფორდი | 12 | 5 | 2 | 5 | 22:20 | 17 |
| ქრიუ | 12 | 5 | 2 | 5 | 12:19 | 17 |
| უიმბლდონი | 12 | 4 | 4 | 4 | 21:19 | 16 |
| შეფილდი | 13 | 3 | 7 | 3 | 14:15 | 16 |
| პრესტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:17 | 16 |
| გრიმსბი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:24 | 15 |
| უოტფორდი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:18 | 14 |
| ჯილინგემი | 11 | 4 | 1 | 6 | 17:17 | 13 |
| როტერჰემი | 12 | 2 | 4 | 6 | 13:21 | 10 |
| უოლსოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:20 | 9 |
| ბარნსლი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:24 | 9 |
| უენსდი | 13 | 1 | 5 | 7 | 11:25 | 8 |
| სტოკპორტი | 12 | 1 | 4 | 7 | 18:26 | 7 |

### შვეიცარია

A ჯგუფი. გადადებული მატჩი

**ლუცერნი 2:1 აარაუ**
1:0 რეი (26), 1:1 მელუნოვიჩი (61), 2:1 ალკორსი (88)
აარაუ: კოლბრუნერი, ეგიმენი, პეიჟი, სკრობჩაკი, ტარონე, ვოიცეხოვსკი (ჟილი 46), ფრიდლი, ჟოლე, დე ნაპოლი (მელუნოვიჩი 46), ოკპალა (ბალდასარი 77), გიგაქსი
ლევან ხომერიკი განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: როლფ ფრინგერი
3 824 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 15 | 8 | 3 | 4 | 35:27 | 27 |
| სერვეტი | 15 | 7 | 4 | 4 | 27:19 | 25 |
| სიონი | 15 | 7 | 3 | 5 | 27:18 | 24 |
| ლუგანო | 15 | 7 | 3 | 5 | 27:25 | 24 |
| გრასჰოპერი | 15 | 7 | 2 | 6 | 34:23 | 23 |
| იანგ ბოისი | 15 | 6 | 5 | 4 | 27:21 | 23 |
| სენტ გალენი | 15 | 6 | 4 | 5 | 29:28 | 22 |
| აარაუ | 15 | 5 | 6 | 4 | 23:19 | 21 |
| ციურიხი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:20 | 21 |
| ქსამაქსი | 15 | 4 | 5 | 6 | 20:21 | 17 |
| ლუცერნი | 15 | 3 | 2 | 10 | 17:40 | 11 |
| ლოზანა | 15 | 2 | 3 | 10 | 14:36 | 9 |

### რუსეთი

თასის 1/8 ფინალი

**სატურნი 0:0 (პენ.5:4) შინიკი**

**ცსკა 2:1 რუბინი**
1:0 კულიკი (16), 2:0 მონარიოვი (30), 2:1 ბოიარინცევი (44)

**სოკოლი 2:1 გაზოვიკ გაზპრომი**
1:0 ფედკოვი (82), 1:1 სერგეევი (87), 2:1 ნიზოვცევი (89)

**ამქარი 4:1 ნოსტა**
1:0 ტუვინი (22), 2:0, 3:0 ნეჩაევი (28, 32), 4:0 სავოჩკინი (36), 4:1 ანდერეანოვი (61)

**დინამო 5:0 ანჟი**
1:0 ბულიკინი (22), 2:0 გრიშინი (26), 3:0 ხაზოვი (62), 4:0 ბულიკინი (69), 5:0 გუსევი (88)

**ზენიტი 3:2 ყუბანი**
1:0 სპივაკი (34), 2:0 კობელევი (35), 2:1 კობელევი (42ს.კ.), 2:2 კოვალენკო (58), 3:2 კერჟაკოვი (65)

### ბელარუსი

**თასის 1/4 ფინალის წილისყრა**

ლოკომოტივი (მინსკი, III) — დინამო (ბრესტი); ხიმიკი (სვეტლოგორსკი, II) — ბატე (ბორისოვი); გომელი — დინამო (მინსკი); შახტიორი (სოლიგორსკი) — სლავია (მოზირი)
მატჩები გაიმართება 2002 წლის გაზაფხულზე

### მერკოსურის თასი

COPA MERCOSUR 2001

16 ოქტომბერი

B ჯგუფი. VI ტური

**ნასიონალი (ურუგვაი) 0:0 სან ლორენსო (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლამენგო | 5 | 4 | 0 | 1 | 9:6 | 12 |
| სან ლორენსო | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| ნასიონალი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ოლიმპია | 5 | 0 | 0 | 5 | 0:11 | 0 |

E ჯგუფი. VI ტური

**პალმეირასი (ბრაზილია) 0:0 გრემიო (ბრაზილია)**

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 3:0 უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| რივერ პლეიტი | 6 | 2 | 2 | 2 | 13:10 | 8 |
| პალმეირასი | 6 | 1 | 3 | 2 | 11:10 | 6 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 6 | 1 | 1 | 4 | 3:14 | 4 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

☎ 8 22 009 015
სპორტულ შეჯიბრთა მიმდინარე შედეგები
უსწრაფესი მომსახურეობა 24 საათის განმავლობაში
ერთი წუთი 40 თეთრი (რეგიონებიდან 60 თეთრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

## გერმანია. პირველი ბუნდესლიგა. 2001-02. X ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.10.01 | 18.30 | 001 | 5:1მიუნხენი; შტუტგარტი4:0; 3:0კოტბუსი **ბაიერნი** V **ლაუტერნი** ჰანზა3:1; 0:2ვოლფსბურგი; ჰერტა4:1 | 1,65 | 3,2 | 5,0 | | | | - | 0:0 2:1 | 2:0 2:2 | 4:0 1:2 |
| 20.10.01 | 18.30 | 002 | 0:4ჰამბურგი; კიოლნი3:0; 1:4ლაუტერნი **ჰერტა** V **ვერდერი** ნიურნბერგი3:0; გლადბახი1:0; 4:0ჰამბურგი | 1,85 | 3,0 | 4,0 | | | | - | 4:1 1:3 | 1:1 1:4 | 1:0 1:2 |
| 20.10.01 | 18.30 | 003 | 0:3ვერდერი; ჰამბურგი0:0; 2:1კიოლნი **ნიურნბერგი** V **გლადბახი** დორტმუნდი1:2; 0:1ვერდერი; ზტ. პაული2:2 | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | - | - | - | 2:0 2:0 |
| 20.10.01 | 18.30 | 004 | 2:2ფრაიბურგი; დორტმუნდი1:2; 2:2გლადბახი **ზტ. პაული** V **კოტბუსი** ლევერკუზენი2:3; 0:2შალკე; ბაიერნი0:3 | 2,3 | 3,1 | 2,8 | | | | - | - | - | - |
| 20.10.01 | 18.30 | 005 | 3:2კოტბუსი; ფრაიბურგი4:1; 1:1დორტმუნდი **ლევერკუზენი** V **შტუტგარტი** შალკე3:0; 0:4ბაიერნი; ჰანზა2:1 | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | - | 1:4 4:0 | 2:1 1:0 | 0:0 1:0 |
| 20.10.01 | 18.30 | 006 | 0:3შტუტგარტი; კოტბუსი2:0; 0:2ფრაიბურგი **შალკე** V **მიუნხენი** ბაიერნი1:5; 2:2ჰანზა; ვოლფსბურგი2:1 | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | - | 1:1 2:0 | 3:3 2:2 | 2:2. 5:4 |
| 20.10.01 | 18.30 | 007 | 1:3ლაუტერნი; მიუნხენი2:2; 1:2შტუტგარტი **ჰანზა** V **კიოლნი** ვოლფსბურგი0:4; 0:3ჰერტა; ნიურნბერგი1:2 | 2,2 | 3,0 | 3,1 | | | | - | 2:5 2:1 | - | - |
| 21.10.01 | 20.30 | 008 | 4:0კიოლნი; ლაუტერნი2:0; 1:2მიუნხენი **ვოლფსბურგი** V **ჰამბურგი** ჰერტა4:0; 0:0ნიურნბერგი; ვერდერი0:4 | 2,2 | 3,0 | 3,1 | | | | - | 4:4 2:3 | 2:2 4:4 | 1:1 4:1 |
| 21.10.01 | 20.30 | 009 | 2:1გლადბახი; 2:1ზტ. პაული; ლევერკუზენი1:1 **დორტმუნდი** V **ფრაიბურგი** ზტ. პაული2:2; 1:4ლევერკუზენი; შალკე2:0 | 1,4 | 3,8 | 7,0 | 2,0 | 3,0 | 2,4 | - | 1:0 2:2 | 1:1 1:1 | 2:2 2:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კაიზერსლაუტერნი (8) | | 17.03 | 31.03 | 14.04 | 16.12 | 2:1 | 28.10 | 27.04 | 4:1 | 19.12 | 06.02 | 3:2 | 03.03 | 02.12 | 2:1 | 17.02 | 3:1 | 18.11 | 9 | 8 | 0 | 1 | 23:10 | 24 | 5 | 0 | 0 | 14:6 | 15 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| 2 | ბაიერნი მიუნხენი (1) | : | | 03.02 | 10.02 | 4:0 | 07.04 | 3:0 | 24.02 | 21.04 | 10.03 | 04.11 | 19.12 | 09.12 | 1:0 | 24.03 | 25.11 | 04.05 | 2:0 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:3 | 22 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 12 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 10 |
| 3 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | 04.11 | 1:1 | | 24.02 | : | 21.04 | 06.02 | 10.03 | 04.05 | 24.03 | 25.11 | 10.02 | 2:1 | 4:1 | 07.04 | 09.12 | 27.01 | 3:1 | 9 | 6 | 3 | 0 | 21:10 | 21 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 10 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 11 |
| 4 | ბორუსია დორტმუნდი (3) | 25.11 | 0:2 | 1:1 | | 04.11 | 04.05 | 17.02 | 24.03 | 27.01 | 07.04 | 09.12 | 10.03 | 4:0 | : | 21.04 | 2:0 | 06.02 | 03.03 | 9 | 6 | 1 | 2 | 15:6 | 19 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 12 |
| 5 | შტუტგარტი (15) | 04.05 | 03.03 | 17.03 | 31.03 | | 0:0 | 3:0 | 14.04 | 0:0 | 09.12 | 27.01 | 02.12 | 17.02 | 18.11 | 0:0 | 06.02 | 2:1 | 28.10 | 9 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 | 2 | 3 | 0 | 5:1 | 9 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| 6 | ვერდერი ბრემენი (7) | 10.02 | 18.11 | 02.12 | 16.12 | 03.02 | | 14.04 | 3:2 | 17.03 | 1:3 | 24.02 | 1:0 | 28.10 | 19.12 | 1:1 | 3:0 | 31.03 | 27.04 | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 14 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| 7 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | 24.03 | 27.01 | 3:3 | 1:0 | 10.03 | 25.11 | | 2:0 | 09.12 | : | 07.04 | 03.02 | 04.05 | 24.02 | 04.11 | 21.04 | 3:1 | 10.02 | 9 | 4 | 2 | 3 | 11:12 | 14 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 | 1 | 1 | 3 | 2:8 | 4 |
| 8 | ენერგი კოტბუსი (14) | 09.12 | 0:3 | 2:3 | 28.10 | 25.11 | 27.01 | 03.03 | | 06.02 | 21.04 | 1:0 | 07.04 | 3:3 | 31.03 | 04.05 | 1:0 | 17.02 | 17.03 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:16 | 11 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| 9 | ჰერტა ბერლინი (5) | 24.02 | 02.12 | 16.12 | 0:2 | 10.02 | : | 27.04 | 2:3 | | 2:1 | 10.03 | 04.11 | 18.11 | 03.02 | 3:0 | 24.03 | 14.04 | 19.12 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:15 | 11 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 | 1 | 2 | 2 | 4:9 | 5 |
| 10 | მიუნხენი 1860 (11) | 0:4 | 1:5 | 28.10 | 18.11 | 27.04 | 06.02 | 17.03 | 02.12 | 17.02 | | 1:1 | 16.12 | 2:1 | 14.04 | 27.01 | 1:0 | 03.03 | 31.03 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:18 | 11 | 2 | 1 | 2 | 5:11 | 7 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| 11 | ჰამბურგი (13) | 2:3 | 31.03 | 14.04 | 27.04 | 2:0 | 0:4 | 18.11 | 19.12 | 4:0 | 03.02 | | 3:3 | 17.03 | 16.12 | 10.02 | 03.03 | 28.10 | 02.12 | 9 | 2 | 3 | 4 | 13:14 | 9 | 2 | 1 | 2 | 11:10 | 7 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| 12 | ბორუსია მიონხენგლადბახი (დ) | 27.01 | 1:0 | 0:1 | 1:2 | 21.04 | 03.03 | 0:0 | 18.11 | 31.03 | 04.05 | 17.02 | | 14.04 | 28.10 | 06.02 | 17.03 | 09.12 | 2:2 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:12 | 9 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| 13 | ვოლფსბურგი (9) | 2:0 | 27.04 | 19.12 | 03.02 | 0:2 | 24.03 | 16.12 | 10.02 | 07.04 | 24.02 | : | 25.11 | | 1:1 | 10.03 | 04.11 | 21.04 | 1:1 | 9 | 2 | 3 | 4 | 13:15 | 9 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 | 1 | 1 | 3 | 9:11 | 4 |
| 14 | ფრაიბურგი (6) | 21.04 | 17.02 | 03.03 | 17.03 | 07.04 | 3:0 | 2:0 | 04.11 | 1:3 | 25.11 | 04.05 | 24.03 | 06.02 | | 09.12 | 27.01 | 1:1 | 2:2 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:14 | 9 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 8 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| 15 | კიოლნი (10) | 03.02 | 28.10 | 18.11 | 02.12 | 19.12 | 17.02 | 31.03 | 16.12 | 03.03 | 2:0 | 2:1 | 0:2 | 0:4 | 27.04 | | 1:2 | 17.03 | 14.04 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:15 | 8 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| 16 | ნიურნბერგი (დ) | 0:2 | 14.04 | 27.04 | 19.12 | 2:4 | 10.03 | 02.12 | 03.02 | 28.10 | 10.02 | 0:0 | : | 31.03 | 2:0 | 24.02 | | 18.11 | 16.12 | 9 | 2 | 1 | 6 | 6:14 | 7 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |
| 17 | ჰანზა როსტოკი (12) | 10.03 | 16.12 | 0:3 | 0:2 | 24.02 | 04.11 | 19.12 | 0:0 | 25.11 | 2:2 | 24.03 | 27.04 | 02.12 | 10.02 | : | 07.04 | | 03.02 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | 6 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 18 | ზტ. პაული ჰამბურგი (დ) | 07.04 | 06.02 | 17.02 | 1:2 | 24.03 | 09.12 | 0:2 | : | 0:0 | 04.11 | 21.04 | 24.02 | 27.01 | 10.03 | 25.11 | 04.05 | 0:1 | | 9 | 0 | 4 | 5 | 7:15 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 | 0 | 3 | 2 | 6:10 | 3 |

## გერმანია. მეორე ბუნდესლიგა. 2001-02. X ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.10.01 | 22.00 | 011 | 0:1უნტერჰახინგი; ალემანია1:0; 0:3უნიონი **შვაინფურტი** V **ბოხუმი** ვალდჰოფი1:1; 0:3როიტლინგენი; ბაბელსბერგი4:1 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | - | - | - |
| 19.10.01 | 22.00 | 012 | 3:2ობერჰაუზენი; ჰანოვერი2:5; 1:5მაინცი **ალენი** V **კარლსრუე** დუისბურგი2:0; 2:1ობერჰაუზენი; არმინია0:1 | 1,95 | 3,1 | 3,5 | | | | - | - | 0:0 4:1 | - |
| 19.10.01 | 22.00 | 013 | 1:1ბოხუმი; უნტერჰახინგი0:1; 0:1ალემანია **ვალდჰოფი** V **მაინცი** როიტლინგენი2:1; 1:0ბაბელსბერგი; ალენი5:1 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 1:0 4:0 | 2:1 0:2 | - |
| 20.10.01 | 18.00 | 014 | 1:2მაინცი; ბოხუმი3:0; 2:3უნტერჰახინგი **როიტლინგენი** V **ჰანოვერი** ბაბელსბერგი5:1; 5:2ალენი; ობერჰაუზენი2:0 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 1:5 3:0 | - | - |
| 20.10.01 | 18.00 | 015 | 1:5ჰანოვერი; მაინცი0:1; 1:4ბოხუმი **ბაბელსბერგი** V **ობერჰაუზენი** ალენი2:3; კარლსრუე1:2; 0:2ჰანოვერი | 1,6 | 3,4 | 5,0 | | | | - | - | - | - |
| 21.10.01 | 18.00 | 016 | 0:2კარლსრუე; 2:2არმინია; აინტრახტი1:1 **დუისბურგი** V **ფიურტი** არმინია0:1; 4:1აინტრახტი; ზაარბრიუკენი3:1 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 0:0 0:1 | - | - |
| 21.10.01 | 18.00 | 017 | 4:0უნიონი; ფიურტი1:4; 1:1დუისბურგი **აინტრახტი** V **ალემანია** ზაარბრიუკენი0:0; 0:1შვაინფურტი; ვალდჰოფი1:0 | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | - | - | - | - |
| 21.10.01 | 18.00 | 018 | 0:0ალემანია; უნიონი2:3; 1:3ფიურტი **ზაარბრიუკენი** V **უნტერჰახინგი** შვაინფურტი1:0; 1:0ვალდჰოფი; როიტლინგენი3:2 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | - | - | - |
| 22.10.01 | 23.15 | 019 | 1:0ფიურტი; დუისბურგი2:2; 1:0კარლსრუე **არმინია** V **უნიონი** აინტრახტი0:4; 3:2ზაარბრიუკენი; შვაინფურტი3:0 | 2,0 | 3,1 | 3,4 | | | | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
**გუშინ** „ლოკომოტივის" სტადიონის ტრიბუნებზე მოსახვედრად ერთი ვაი-უშველებელი იდგა. ვიღაცას უშვებდნენ, ვიღაცას არა, გარეთ დარჩენილები ყვიროდნენ და აპროტესტებდნენ — განა რა მატჩია ასეთი, ფულს რომ გვახდევინებთო. ის კი არა, ხაჭაპურისა და სხვა სურსათ-სანოვაგის გამყიდველებიც ბილეთებს ყიდულობდნენ, ისე არ გვიშვებენო. საინტერესოა, ამ მოარულ ხალხს ნეტავ რამდენი მზესუმზირა ან „კოკა-კოლა" უნდა გაესაღებინა, ბილეთში გადახდილი თანხა რომ ამოეღო. ერთმა ისიც კი მკითხა, გეცოდინება, კარგი თამაში როდის იქნებაო... ერთი სიტყვით, საკმაოდ ცივმა ამინდმა და პირველ შეხვედრაში უსუსურად მოთამაშე ბოსნიელებმა ვაკეში მაყურებლები ვერ შეაგროვეს. ხალხი უფრო ჩვენი ხვალინდელი მეტოქის, ებრაელების სანახავად მოსულიყო, რომლებმაც შედარებით უფრო ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. გამორჩეულად კი მეჩვიდმეტე ნომრით მოთამაშე შავკანიანს, ამირ ტაგას მოვიხსენიებდი. ძალიან მოძრავი, ფიზიკურად ძლიერი და დაუზარელი ტაგა გუშინდელ მატჩში ბოსნიელებს ბევრ პრობლემას უქმნიდა. აბრაამ ბაჰარის შეგირდები სახიფათო მომენტებს უფრო სისწრაფის ხარჯზე ქმნიდნენ, მაგრამ ალბათ ეს ჩვიდმეტწლამდელთა სენია, კარის ჩარჩოში ვერ უმიზნებდნენ. მატჩის მეორე ნახევარში იყო მომენტი, როცა ებრაელი ფეხბურთელების ზედიზედ ორი დარტყმის შემდეგ „ლოკომოტივის" ლამაზი ტაბლო დამსხვრევას გადაურჩა. ასპროცენტიანი საგოლე მომენტი კი ორი იყო. ბოსნიელმა სადატ შაჰინმა მოახერხა და მეკარის წინ მარტოდმარტო დარჩენილმა ბურთი ებრაელთა კარის დარაჯს ჩააბარა. მას არც ისრაელის ნაკრების ფორვარდი, შეცვლაზე შესული ომერ პერეცი ჩამორჩა. ბაოტიჩთან პირისპირ გასულმა შორეულ ძელსა და დასახმარებლად ჩასულ ტაგას შორის ბურთი ისე გააძვრინა, შავკანიანი სულ გადარია. გამწარებული ტაგა ახტა და ქართველი მოცეკვავესავით მუხლებზე დაეცა — მე რატომ არ მომაწოდეო.

ბურთთან ურთიერთობის თავისებური სტილი ჰქონდათ ბოსნიელებსაც. ველარც დავითვალე, კარისკენ ან პარტნიორისკენ გაგზავნილი ბურთი ერთმანეთს რამდენჯერ მოარტყეს და რიგ ეპიზოდებში მსაჯიც არ დაინდეს, თითქოს ეუბნებოდნენ — შენ რაღას გვიშლიო.

ძალიან ემოციური ყოფილა ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელი აბრაამ ბაჰარი. პირველ ტაიმში ერთი ინციდენტი მოხდა. კარსუკანა ტრიბუნიდან რაღაც საგანი ისროლეს. ვერ გეტყვით, მოხვდა თუ არა იგი მეკარე მოშე ვაჰაბს, მაგრამ მან ამის შესახებ მაშინვე დამრიგებელს აცნობა, ბაჰარმა კი უეფას კომისარს. საინტერესო ის არის, რომ იმ ტრიბუნაზე ორად ორი ბავშვი იჯდა. საქმის გასარკვევად შავებში გამოწყობილი მამაკაცი გაემართა, თუმც იმანაც ვერაფერი გაარკვია.

მთლიანობაში მატჩი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა, რაიმე განსაკუთრებულს, ალბათ, არც არავინ ელოდა, მოთამაშენი ხომ ჯერ ახალგაზრდები არიან. ბოსნიელებმა ერთი ქულის აღებაც რომ შეძლეს, მათთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. დანიაში გასამგზავრებლად ვინ გაემზადება, ამას ხვალ საქართველოსა და ისრაელის ჩვიდმეტწლამდელები გაარკვევენ. ჩვენს ბიჭებს ფრეც ხელს აძლევთ, თუმც, არა მგონია, დაივიწყონ მათ სანახავად მისული მაყურებელი და ვფიქრობ, ჟინიანი ფეხბურთის მომსწრენი გავხდებით. მით უმეტეს, არც ისრაელი ჩანს მთლად მამა აბრამის ბატკანი.

### მატჩის შემდეგ

***აბრაამ ბაჰარი, ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*** ძალიან მძიმე მატჩი იყო ჩვენთვის. მეტოქე ნამდვილად მომეწონა. მართალია, ბოსნიელებმა პირველი თამაში მასპინძლებთან დათმეს, მაგრამ დღეს კარგად გამოიყურებოდნენ. საწყის ოც წუთში თამაშის დალაგება გაგვიჭირდა, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მეორე ტაიმში ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. საქართველოს ნაკრების თამაში ვიდეოფირზე ვნახე და ძალიან მომეწონა. ვფიქრობ, ბევრ პრობლემას შეგვიქმნიან, რადგან ფიზიკურადაც კარგად არიან მომზადებულნი და ტექნიკასაც ვერ დავუწუნებ. ტაქტიკური თვალსაზრისით დღეს არაფერი დაგვიმალავს. დასამალი ვინც იყო, არ წამოგვიყვანია. ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელი, რომელიც ამპლუით ფორვარდია, უდისციპლინობის გამო სამშობლოში დავტოვეთ. შანსები თქვენს გუნდს, რა თქმა უნდა, მეტი აქვს.

***იოსიპ კატალინსკი, ბოსნიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*** დღეს ერთმანეთს ორი გამოუცდელი გუნდი დაუპირისპირდა. ამიტომაც ისე რა თამაში გამოვიდა. ებრაელებსაც კარგი გუნდი ჰყოლიათ, მაგრამ ქართველებთან ძალიან გაუჭირდებათ. ჩვენთვის ეს ერთი ქულაც კარგია. სველმა მინდორმა მეტოქეებს არ მისცა საშუალება, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოევლინათ. პირველი მატჩი ჩვენთვის უფრო რთული იყო, ვიდრე დღევანდელი, მასპინძლებს კი ისრაელთან წარმატებას ვუსურვებ".



ებრაელთა მწვრთნელი აბრაჰამ ბაჰარი



ბავშვებს არავინ უთხრა, რომ ჰიმნისას დროშის ზურგშექცევა არ შეიძლება

# გააფრთხილოთ იქნებ წვიმა

## ბათუმი თუ ვერ ჩაჩამს, ქობულეთი ვერ ჩაჩამს?

**შაბათს** არასრულად ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური. ავდარმა „ბათუმი" — „ლოკომოტივი" გადადო.

თავსხმამ ბათუმური სარბიელი ისე დატბორა, მასპინძლები ბევრს ეცადნენ, წყალსაქაჩის მეშვეობით მოეყვანათ მოედანი წესრიგში, მაგრამ უშედეგოდ. მატჩის ინსპექტორმა ოთარ გუნთაძემ შეხვედრის გადადება ბრძანა. ასე რომ, სტუმარ-მასპინძელი მოცდა.

ბათუმის „დინამოს" სტადიონი, რომლის რეკონსტრუქცია სექტემბერში დაიწყო, დღესდღეობით ისეთ არასახარბიელო მდგომარეობაშია, რომ იქ მატჩის ჩატარება არც შეიძლება.

წყალდიდობისას ზღვისპირა სტადიონის დრენაჟიც არ მოქმედებს და ამ მიზეზით აქამდეც ჩაშლილა ბათუმში მატჩები.

გაცდენილი მატჩის ახალი თარიღი გუშინ გაირკვა. „ბათუმი" „ლოკომოტივს" 24 ოქტომბერს უმასპინძლებს. სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტმა კი გუშინვე გააფრთხილა აჭარლები, ერთი ასეთი შემთხვევაც და მკაცრად დაგსჯითო.

ერთი სიტყვით, ბათუმელები ბუნების იმედადღა იქნებიან, რადგან თუ 24 ოქტომბერსაც იწვიმა, იგივე სიტუაციაში აღმოჩნდებიან. ამ დროს კი პრობლემის მარტივად გადაწყვეტა შესაძლებელია — ვიდრე ნებისმიერი მეტოქე ბათუმში ჩავა, გვერდი უნდა ჩაუაროს ქობულეთის ახალგანახლებულ სტადიონს.

ბაათა ძგანტალიანი

# იასონ ბზიკაძემ დრო იპოვა და ფული დაკარგა

**გუშინ** სპორტის აკადემიის რექტორ ომარ გოგიაშვილის კაბინეტში სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა. დისციპლინარებს განსახილველად ბლომად საკითხები ჰქონდათ, თუმც მთავარი თემა მაინც „სამგურალი" — „დინამოს" მატჩისშემდგომ დატრიალებული ამბები გახლდათ.

22 სექტემბერს, მერვე ტურში, წყალტუბოს „სამგურალმა" თბილისის „დინამოს" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა, თუმც ამ მატჩის ბოლო წუთის სადავო ეპიზოდს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მასპინძლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ შეხვედრის არბიტრ სერგო კვარაცხელიას მიმართ და ფედერაციაში პროტესტის შეტანასაც აპირებდნენ, რომელიც ფედერაციამ არ მიიღო.

„სამგურალის" ყოფილ მთავარ მწვრთნელ იასონ ბზიკაძეს, სამართალი სხვაგვარად რომ უპოვნია, გასახდელისკენ მიმავალი მსაჯები სიტყვიერად შეურაცხყვია, თავად კვარაცხელიას კი ფიზიკურად გასწორებია.

შეგახსენებთ, რომ იასონ ბზიკაძე „სამგურალს" წინა სეზონში თავკაცობდა და მთავარი მწვრთნელის პოსტიდან საკუთარი სურვილით გადადგა. მიზეზი მოსკოვის სამწვრთნელო სკოლაში ჩაბარების სურვილი იყო — გუნდსაც მხოლოდ კონსულტანტის რანგში შერჩა.

ალბათ, ახლა უფრო მეტი დრო დარჩება ბზიკაძეს განათლების მისაღებად, რადგან დისციპლინარებმა ჩემპიონატის ბოლომდე აუკრძალეს „სამგურალის" მატჩებისას სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და 1000 ლარით დააჯარიმეს.

ბზიკაძის გარდა გუშინ რამდენიმე ფეხბურთელსაც შეუთხელეს ჯიბე. მეთერთმეტე ტურში არბიტრმა მერაბ მალაღურაძემ ორი ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან. მცხეთაში „ვიტ ჯორჯია" — „სიონის" მატჩის 55-ე წუთზე ვიტელმა კახა წუწუნავამ და ბოლნისელმა კახა გოდერძიშვილმა ერთმანეთისკენ გაიწიეს. მოშუღარნი თანაგუნდელებმა გააშველეს, თუმც მალაღურაძემ ორივეს წითელი ბარათი აუფრიალა და გასახდელის გზას გაუყენა.

წუწუნავაც და გოდერძიშვილიც ორ-ორ თამაშს გამოტოვებს და 100-100 ლარს გადაიხდიან, ისევე, როგორც მეათე ტურის „ტორპედო" — „მერანის" მონაწილენი, გაძევებული სტუმარ-მასპინძელი ზაზა კვეკვესკირი და რევაზ ქემოკლიძე.

უმაღლესლიგელთა გაწკეპვლა ამით ამოიწურა და დისციპლინარები პირველლიგელ დამნაშავეებს გადასწვდნენ. ყველაზე მკაცრად თბილისის „დინამო 2"-ის თავდამსხმელი ბესიკ ქარდავა დაისაჯა. ის სამი თამაშით მოკვეთეს და 150 ლარის გადახდაც დააკისრეს. „ლოკომოტივი 3"-ის წევრი გიორგი ლაცაბიძე კი ერთ თამაშს გამოტოვებს და 50 ლარს იზარალებს.

სადისციპლინო კომიტეტის წევრებს განსახილველად კიდევ ერთი საკითხი ჰქონდათ. კერძოდ, მეათე ტურის „ცხინვალი" — თსუ-ს შეხვედრა გამოდგა სკანდალური. მიზეზი თსუ-ს ხელმძღვანელობის მიერ მსაჯების შეურაცხყოფაა. თუმც ამ საქმის გარჩევა სამომავლოდ გადაიდო.

ძახა შალამბერიძე



იასონ ბზიკაძე

# წავიდა...

**ფეხბურთით** ცოცხლობდა, ფეხბურთში იხარჯებოდა... ძირითადად მოზარდებთან ტრიალებდა და მათ გარეშე ვერ ძლებდა.

პარასკევსაც, იმ საბედისწერო დღეს, შინ ფეხბურთიდან ბრუნდებოდა. წნორიდან მშვიდობით მობრუნებულს სახლამდე შორი გზაც აღარ დარჩენოდა.

ფალიაშვილზე მანქანამ გაიტანა, საათნახევარი კიდევ იცოცხლა, გონსმოუსვლელად მიაბარა უფალს სული.

კეთილ სიტყვას არავის ამადლიდა, ალალი კაცი იყო, პატიოსანი. ამიტომაც უყვარდა ყველას და ძალიან ბევრსაც დასწყვიტა გული ჯუმბერ თანანაშვილმა.

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბავშვთა ფეხბურთის ამაგდარის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, არაერთი საქვეყნოდ აღიარებული ფეხბურთელის აღმზრდელის **ჯუმბერ თანანაშვილის** ტრაგიკული გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი ქუთაისის „იმერეთი" წუხს ბავშვთა ფეხბურთის მოამაგის **ჯუმბერ თანანაშვილის** გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

## მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. ერევანი (სომხეთი)

# სომხურმა სენსაციამ ფერი დაკარგა



მსოფლიოს ხუთივე გუნდური ჩემპიონატის მონაწილე რაფაელ ვაჰანიანმა (მარჯვნივ) სახელმწიფო ჯილდო სომხეთის პრეზიდენტისგან მიიღო

**ერევანში** გრძელდება მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, რომელიც სომხეთის გაქრისტიანების 1700 წლის იუბილეს ფარგლებში შემავალი ღონისძიებაა. ჩვენს სამეზობლოში თავიდან 10 ნაკრებს ელოდნენ, მაგრამ აფრიკა ვერ თუ არ ჩავიდა და დარჩა კენტი 9 ნაკრები, რაც წრიული სისტემით თამაშისას გარკვეულ უხერხულობას ქმნის, პირველ რიგში მაყურებლისთვის. ყოველდღე ერთი რომელიმე ნაკრები ისვენებს, ამიტომ როცა ლიდერზე ვლაპარაკობთ, ეს არ ნიშნავს, რომ იგი მართლა ლიდერია, მას პოტენციურად შეიძლება რომელიმე მიმყოლი უსწრებდეს.

ასე მაგალითად, ერევანში 5 ტურის შემდეგ გერმანიის ნაკრები ლიდერობს, მაგრამ მასზე წინ ერთბაშად 3 ნაკრების მოაზრება შეიძლება, რადგან თუ გერმანელებმა ხუთივე ტურში ითამაშეს, სომხეთმა, რუსეთმა და უკრაინამ თითო ტური უკვე გამოტოვეს და შესაბამისად, სათამაშოც მეტი დარჩათ.

მაგრამ თუნდ ასე იყოს, ჯერ კიდევ გუშინ გერმანელთა ასეთი პოზიცია გასაკვირი იქნებოდა. წინა ტურებში ისინი საშუალოზე ცოტა უკეთ ირჯებოდნენ და ზომიერი მე-4 ადგილი ეკავათ. გერმანელების გაპირველება მათ მიერ სომხეთის ნაკრების მოულოდნელმა დამარცხებამ გამოიწვია.

მოულოდნელს ვამბობთ იმიტომ, რომ წინა ტურში თავად სომხები გახდნენ სენსაციის ავტორები. მათ მთავარი ფავორიტი, რუსეთი, 3:1 დაამარცხეს და ცხრილში უაღრესად პერსპექტიულად მოთავსდნენ. საჭირო იყო თუნდაც საყაიმო მატჩი გერმანიასთან და ჩვენი მეზობლები სანახევროდ ჩემპიონები იყვნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში წაბორძიკდნენ.

გერმანიასთან სომხეთის ნაკრებში არ უთამაშია რაფაელ ვაჰანიანს, რომელსაც წინა დღეებში სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა დასდო პატივი და პრესტიჟული მოვსეს ხორენაცის მედლით დააჯილდოვა. ვაჰანიანის ერთ-ერთი დამსახურება ისიც გახლავთ (ჩვენი წერილის კონტექსტში), რომ ხუთივე მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილეა.

ვაჰანიანის გარეშეც სომხებს ოთხივე დაფაზე ძლიერი მოჭადრაკეები ჰყავდათ. ამათგან ვლადიმირ აკოფიანმა ლაზიერის გამბიტში არტურ იუსუპოვის შეტევებს გაუძლო (შავებით იყო) და ნახევარი ქულა გამოიმუშავა. სამაგიეროდ, სმბატ ლპუტიანმა ვერ გამოიყენა თეთრი ფერი, მეტიც, 81-ე სვლის შემდეგ კრისტოფერ ლუტცს ქულა გაატანა. კიდევ ალექსანდერ გრაფმა დააყრევინა ფარ-ხმალი აშოტ ანასტასიანს და ძალიან დიდხანს ცდილობდა არტაშეს მინასიანი თავისი ნაკრების საქმის ოდნავ მაინც გამოსწორებას, მაგრამ 94 სვლა ტყუილად გააკეთა. გერმანელებმა 3:1 გაიმარჯვეს.

გაიმარჯვა უკრაინამაც უნგრეთთან მნიშვნელოვან და დაძაბულ მატჩში და, შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობისთვის ოთხი მებრძოლი გამოიკვეთა: გერმანია, სომხეთი, რუსეთი და უკრაინა. რუსეთი მე-5 ტურში ისვენებდა, ხოლო უზბეკეთმა ირანი კი გაანადგურა, მაგრამ ადრეულ ტურებში უაზრო ფაფხურის წყალობით, თუნდაც საპრიზო ადგილის მიზერული შანსები დარჩა.

**დავით გულუა**

**ვითარება 5 ტურის შემდეგ**

**1. გერმანია 13,5 (20 შესაძლებლიდან); 2. სომხეთი 12 (16); 3-4. რუსეთი, უკრაინა 11 (16); 5. კუბა 10,5 (20); 6. უზბეკეთი 8,5 (16); 7. უნგრეთი 8 (20); 8. ირანი 3,5 (20); 9. მაკედონია 2 (16)**



## CART მეცხრამეტე ეტაპი. ლაგუნა სეკას (აშშ) დიდი პრიზი

# კარტასტროფები

**ამერიკული** ფორმულის მორიგ ეტაპზე იმდენი დავიდარაბა მოხდა, ნახევარ ჩემპიონატს ეყოფოდა. დიდი ხიფათი შეემთხვა ესპანელ ორიოლ სერვიას. მისი „ლოლა“ ერთ-ერთ არც ისე რთულ მოსახვევში მაურისიო გუჟელმინის „რეინარდს“ შეახტა, ქვიშაში ცხვირით ჩაერჭო და მერე ლამის ათმეტრიან სიმაღლეზე აფრენილმა ორმაგი მალაყიც შეასრულა. მანქანა, ცხადია, თითქმის მთლიანად დაიშალა და მრბოლიც დაშავდა, თუმც, საბედნიეროდ, არც თუ სერიოზულად. სერვიამ გულშემატკივრების დასანახად საკაცეზე მარჯვენა ცერა თითი ასწია, ყველაფერი კარგადაა. არადა, ამ საშინელების მხილველთ, ალბათ, სისხლი გაეყინათ.

მანამდე კი ისე რა შეჯახებების გამო ბრძოლას ათამდე პილოტი გამოაკლდა, მათ შორის ექსლიდერი კენი ბრაკი. სტარტზე მცირე კონფლიქტის შემდეგ მისი ბორბალმომტვრეული ბოლიდი ბოქსებამდე კ ი მივიდა, მაგრამ ველარაფერი ეშველა და იქვე დარჩა. შვიდი მრბოლის მარცხმა მის უმთავრეს კონკურენტ ბრაზილიელ ჟილ დე ფერანს, რომ იტყვიან, ხელ-ფეხი გაუხსნა. მან თითქმის ნახევარ დისტანციაზე ლიდერობა არავის დაანება, საბოქსე ციებცხელების მერე კი მართალია, პირველობის დათმობა მოუხდა, მაგრამ კალიფორნიაში მოპოვებული მესამე ადგილითა და 16 ქულითაც (პოულისა და სალიდერო წრეების ჩათვლით) იმდენად გაზარდა თავისი უპირატესობა, რომ საეჭვოა, ზედიზედ მეორე ტიტულის მოპოვებაში ვინმემ ხელი შეუშალოს.

უამრავი შეხლა-შემოხლის მიზეზით ასპარეზობა ისე გაიწელა, რომ წლეულს უკვე მერამდენედ ძალაში შევიდა რბოლის ხანგრძლივობის ორსაათიანი ლიმიტი, რამაც დისტანცია შვიდი წრით ანუ 25 კილომეტრით შეკვეცა.

„გიემაჟემა“ მაქს პაპისმა სეზონში მეორე გამარჯვება კი იზეიმა, მაგრამ არათუ საჩემპიონო, საპრიზო ადგილის შანსიც არ შერჩენია.

**გია ახალაძე**



ლაგუნა სეკას გმირი მასიმილიანო პაპისი

**რბოლის შედეგები**

76 წრე — 273,8 კმ

1. მასიმილიანო პაპისი (იტალია, ლოლა-ფორდი) 2სთ; 10,59 წამი (136,7 კმ/სთ საშუალო სიჩქარე); 2. მემო გიდლი (აშშ, ლოლა-ტოიოტა) ჩამორჩა 0,80 წამით; 3. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 1,44; 4. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 1,80; 5. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 2,47; 6. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 4,43; 7. ბრუნო ჟუნკეირა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 5,63; 8. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 6,09; 9. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 6,59; 10. ადრიან ფერნანდესი (მექსიკა, რეინარდ-ჰონდა) 7,13; 11. კენსი მორსი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 8,21; 12. ბრაიან ჰერტა (აშშ, რეინარდ-ფორდი) 8,84.

**საერთო ჩათვლა**

1. ჟილ დე ფერანი 179 ქულა; 2. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა-ფორდი) 153; 3. ჰელიო კასტრონევეში 141; 4. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 125; 5. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ-ჰონდა) 105; 6. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 100; 7. სკოტ დიქსონი 98; 8. მასიმილიანო პაპისი 86; 9. პატრიკ კარპენტიე (კანადა, რეინარდ-ფორდი) 86; 10. ტონი კანაანი 83.



# გუგას წყალი შეუდგა

**შტუტგარტი (გერმანია)**
**„მასტერსის სერია“**
**ჰარდი. საპრიზო 2,95 მილიონი $**

შტუტგარტის ბობოლა ტურნირის ორგანიზატორებმა კარგი საჩუქარი მიუძღვნეს თითქმის სამი მილიონის მოზრდილი ნაჭრისთვის მებრძოლ ვარსკვლავებს, როცა ყველა განთესილი პირველ წრეში ოფლის ღვრას აარიდეს და პირდაპირ მეორე წრიდან ჩართეს გათამაშებაში. თუმც ერთ მათგანს, განთესილთა შორის უპირველეს გუსტავო კუერტენს ამანაც არ უშველა. ბრაზილიელი პირველი ჩოგანი მეორე წრეში ვეება ბელარუსს, მაქს მირნის გადაეყარა და წაიბორძიკა.

მანამდე ბელგიელი ოლივიე როშიუს წამქცევ მირნის კუერტენთან შეხვედრამდე თავი ყინჩად ეჭირა, აქაოდა, ეგ ადრეც დამიმარცხებია, ვიცი როგორც უნდა ვეთამაშო და თუ საკუთარი თავის კონტროლს არ დავკარგავ, ისეთი რამ მოხდება, უმრავლესობა რომ არ ელისო. ბელარუსმა აასრულა კიდეც დანაქადნი, პირველი ჩოგანი იმსხვერპლა (თავად 53-ეა). ეგაა, თავიდან ცოტა გაუჭირდა და პირველი სეტი 4:6 დაუთმო ბრაზილიელს. გუგა მეორე სეტშიც რიგიანად თამაშობდა, თუმც მირნიმ მოწოდება გამართა და სეტის ტაიბრეიკში გადაყვანა, შემდეგ კი მოგებაც შეძლო. მესამე, გადამწყვეტ სეტში კუერტენი შეეცადა, ინიციატივა დაებრუნებინა, თუმც ამაოდ, მირნიმ სეტის შუაწელს მოწოდება აართვა მძლავრ მეტოქეს, ბოლოს კი ეისი ჩაუგდო და გუგას წვალებასაც ბოლო მოეღო.

კუერტენი წლევანდელ ჩემპიონთა რბოლაში კვლავაც პირველ ადგილზე რჩება და იმედი აქვს, წლის ბოლომდე არ დაქვეითდება, თუმც ბრაზილიელის პირველობა ერთობ საეჭვოა. შტუტგარტის ტურნირში მონაწილე მისი უახლოესი მდევრები ანდრე აგასი და ლეიტონ ჰიუიტი ბევრით აღარ ჩამორჩებიან მოწინავეს. ახალი სისტემის კლასიფიკაციის მწვერვალზე ცვლილების მოსახდენად საჭიროა, ამ ორიდან ერთ-ერთმა ეს ტურნირი გამარჯვებით დაასრულოს და გუგაც ავტომატურად გამოეთხოვება პირველობას.

აგასის გუშინწინ არ უთამაშია, გუშინ მაროკოელ ჰიშამ არაზის უნდა შეხვედროდა, აი, ჰიუიტმა კი წარმატებით ჩამოიცილა მეორე წრეში გადაყრილი ჩეხი ბოჰდან ულირახი. თავს უფლებას მივცემთ და ვიტყვით, რომ 20 წლის ავსტრალიელს, რომელიც ჩემპიონთა რბოლაში მესამე ადგილზეა, მასზე ერთი საფეხურით წინმყოფ აგასიზე უკეთესი შანსი აქვს, კუერტენის პირველობა დაამხოს. ამერიკის ღია პირველობაზე ყველას მძლეველ ჰიუიტს აგერ 15 მატჩია, არავისთან წაუგია, შესანიშნავ ფორმაშია და არც ამ ტურნირის მოგება უჩანს გადაულახავ ბარიერად. ჰიუიტი ამ ტურნირის მთავარ პრიზს შარშან ლამის შესწვდა, ფინალში უეინ ფერერასთან წააგო, ახლა კი წინ წაწევას და კარიერაში მე-12 ტიტულის მოგებას უმიზნებს.

მესამე წრეს უწია მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის, უიმბლდონის წლეულს მომგებმა გორან ივანიშევიჩმა. [illegible] შტუტგარტში მე-13 ნომრად განეთესათ, [illegible] ელი მარკ ფილიპუსისი ეგდო. ამ ორი მძლავრი მომწოდებლის დუელის დამსწრე გერმანელმა ქომაგობამ უამრავი ეისი იხილა. ფილიპუსისმა 20 ეისი მიითვალა, ივანიშევიჩმა ოთხით ნაკლები, თუმც რაკი მეორე უფრო იშვიათად სცოდავდა გადამწყვეტ ეპიზოდებში, გამარჯვება და შემდეგი ეტაპის საგზურიც მას დარჩა.

ბობოლებს არ ჩამორჩა და იმარჯვა ერთ დროს თავად ბობოლამ, ახლა კი განთესილთა შორის ვერმოხვედრილმა უეინ ფერერამ. ამ ტურნირის შარშან მომგებმა სამხრეთაფრიკელმა მე-11 ნომრად განთესილი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი დაძაბულ ბრძოლაში გააგდო. გუშინწინ მოთამაშეთაგან კიდევ ერთმა განთესილმა ტიმ ჰენმანმა 6:3, 6:0 მოუგო აქსელ პრეცშს და შემდეგ წრეში ყველაზე დასვენებული გავიდა.

**მეორე წრე. მაქს მირნი (ბელარუსი) — გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) 4:6, 7:6 (8:6), 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — ბოჰდან ულირახი (ჩეხეთი) 3:6, 6:3, 6:4; გორან ივანიშევიჩი (13, ხორვატია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (7:1), 3:6, 6:3; ტიმ ჰენმანი (7, ბრიტანეთი) — აქსელ პრეცში (გერმანია) 6:3, 6:0; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — როჯერ ფედერერი (11, შვეიცარია) 7:6 (7:1), 3:6, 6:2**

**ციურიხი (შვეიცარია)**
**SWISSCOM CHALLENGE**
**ჰარდი. საპრიზო 1,19 მილიონი $**

ანა კურნიკოვას ბედი არ სწყალობს. ციურიხული ტურნირის პირველივე წრეში „ღვთაებრივი“ ანა სამხრეთაფრიკელმა ამანდა კუტცერმა იმსხვერპლა, რაც მისი ზედიზედ მეექვსე მარცხია. მას შემდეგ, რაც მტკივანი ტერფი მოირჩინა, კურნიკოვას თამაში არ მოუგია (წყვილებში მოგებები აბა, რა სათვალავში მისაღებია).

ანამ კუტცერთანაც ისე დაიწყო, ყველამ იფიქრა, ტყუილად ირჯება, წინასწარ წაგებულიაო. კუტცერმა პირველი სეტის მოგებას სულ 23 წუთი მოანდომა, თან გეიმიც არ წაუგია. კურნიკოვა მეორე ხელში გამოფხიზლდა, მხურვალედ მოქომაგე შვეიცარიელ მაყურებელს ერთი ლამაზი სეტი აჩუქა და ანგარიშიც გაათანაბრა, თუმც გადამწყვეტ სეტში ხუთი გეიმის შემდეგ 1:4 ჩამორჩა და საბოლოოდ ტურნირს ხელიც დაუქნია.

პირველი ბარიერი ვერ გადალახეს განთესილმა გოგონებმა, კურნიკოვას თანამემამულე ელენა დემენტიევამ და ამერიკელმა მეგან შონესიმ.

**პირველი წრე. ივა მაიოლი (ხორვატია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:2; ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:0, 4:6, 6:3; მერი-ჯოის მიძაელიანი (შვეიცარია) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 6:2, 6:4; დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) — მეგან შონესი (6, აშშ) 6:3, 6:4; ლაიზა რეიმონდი (აშშ) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 7:6 (7:4), 6:3.**

**ირაკლი ფირცხალავა**



20 წლის ლეიტონ ჰიუიტი მსოფლიოს დაპყრობას ქმურება

# კეჰუს დებიუტი პეტერსენის ჰეთ თრიქით



REUTERS

პიტსბურგელი მარიო ლემიე და მისი ახალი თავკაცი რიკ კეჰუ

16 ოქტომბერი

**ბუფალო 3:3 ნეშვილი (0:2 1:0 2:1 0:0)**
0:1 უოკერი 5(1), 0:2 ჩელბერგი 11(1), 1:2 გრეტონი 30(1), 1:3 ციზარი 49(1), 2:3 კოზლოვი 53(4), 3:3 შმეპლიკი 55(1)

**დეტროიტი 4:3 კოლუმბუსი (1:0 2:1 1:2)**
1:0 შენაჰანი 16(8), 2:0 რობიტაილი 27(3), 2:1 კლესლა 32(2), 3:1 დანდენო 37(1), 4:1 ფიოდოროვი 47(3), 4:2 რაიტი 52(3), 4:3 ქუინტი 55(2)

**მინესოტა 3:3 სან ხოსე (1:1 2:0 0:2 0:0)**
1:0 გაბორკი 6(2), 1:1 სუნდსტრიომი 17(1), 2:1 დაუდი 26(2), 3:1 ლააქსონენი 32(1), 3:2 სმიტი 52(1), 3:3 რიჩი 58(1)

**ედმონტონი 1:4 ტორონტო (0:0 0:3 1:1)**
0:1 კორსონი 28(2), 0:2 რენბერგი 29(2), 0:3 ჰოგლუნდი 38(3), 0:4 ტაკერი 42(1), 1:4 კომრი 47(2)

**ვანკუვერი 2:2 ფლორიდა (0:0 1:2 1:0 0:0)**
0:1 პ. ბურე 22(2), 1:1 დრაკენი 23(2), 1:2 ჰუსელიუსი 38(2), 2:2 ჟოვანოვსკი 45(2)

**ატლანტა 3:3 ფილადელფია (0:0 1:2 2:3 0:0)**
1:0 კოვალჩუკი 39(2), 1:1 რანჰეიმი 42(1), 2:1 დომენიჩელი 44(1), 2:2 ლეკლერი 47(3), 3:2 ჰრკაჩი 53(1), 3:3 ლეკლერი 57(4)

**პიტსბურგი 5:2 ოტავა (1:0 4:1 0:1)**
1:0 პეტერსენი 1(1), 1:1 უაიტი 24(4), 2:1 პეტერსენი 25(2), 3:1 ლანგი 34(3), 4:1 პეტერსენი 36(3), 5:1 ლანგი 39(4), 5:2 ჰერპერგერი 54(1)

**კოლორადო 2:1 ტამპა (0:0 1:0 1:1)**
1:0 იელი 31(1), 2:0 საკიკი 43(4), 2:1 პროსპალი 43(2)

**ფინიქსი 1:1 ბოსტონი (1:1 0:0 0:0 0:0)**
0:1 როლსტონი 12(4), 1:1 მარა 13(1)

**ლოს ანჯელესი 2:3 ვაშინგტონი (1:1 1:1 0:0 0:1)**
1:0 ვალიჩევიჩი 4(1), 1:1 ნიკოლიშინი 5(1), 1:2 დალინი 31(3), 2:2 შტუმპელი 34(1), 2:3 ბონდრა 61(5)

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. 27 წელიწადს ემსახურა ერთგულად რიკ კეჰუ პიტსბურგს. ლემიეს გუნდში მისვლამდე მისი კაპიტანი და ლიდერი იყო, კარიერის დასრულების შემდეგ კი კლუბში დარჩა. 10 წლის განმავლობაში მორიდებულად, უსიტყვოდ ეწეოდა მწვრთნელის თანაშემწის ჭაპანს. და აი, დამსახურებული ჯილდოც — გათავისუფლებული ივან ჰლინკას ადგილზე დანიშნული კეჰუს დებიუტი სამშაბათს შედგა. შეგირდებმა იგი ლამაზი მოგებით გაახარეს და ყურებჩამოყრილი მაყურებელიც გაამხნევეს.

ძნელი სათქმელია, რას მოუტანს „პინგვინებს" ახალი მწვრთნელის დანიშვნა, მაგრამ კეჰუს პირველი ნაბიჯები გვაიმედებს, რომ ეს ოსტატური გუნდი ჩრდილში არ მოექცევა და კვლავაც ბევრს მიაღწევს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით რიკი თავის მდუმარე წინამორბედზე გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მან მატჩამდე მოასწრო სამეულებში გადაადგილებები — ყველასთვის მოულოდნელად, დაშალა აწყობილი სტრაკა-ლანგი-კოვალიოვის ხაზი და ორი გარემარბი მარიო ლემიეს შეუამხანაგა. მერე მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გახდა ცნობილი, რომ კოვალიოვს მუხლზე სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა და ერთი კვირით გამოეთიშებოდა ასპარეზობას. მწვრთნელი არც ამან დააბნია, ამიესა და სტრაკას ხაზი ახალბედა ტობი პეტერსენით შეავსო. როგორც თამაშმა ცხადყო, კეჰუს გაბედულმა ნაბიჯმა სავსებით გაამართლა და ახალგამომცხვარმა წამყვანმა ტრიომ გადამწყვეტი შაიბები შეაგდო, ხოლო პეტერსენმა კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა.

მატჩის საწყისმა წუთებმაც დაამტკიცა, რომ მწვრთნელმა შეძლო შეგირდების გამხნევება. „პინგვინები" თავიდანვე გადავიდნენ შტურმზე. პირველივე ცვლაში მარტინ სტრაკას გადაცემის შემდეგ პეტერსენმა დაარტყა და დამატებაზე კიდეც იხეირა. ამის შემდეგ პიტსბურგმა რამდენიმე მომენტი გაფლანგა და ოდნავ დამშვიდდა. მასპინძლების შეტევების მეორე ტალღა კი მეორე პერიოდში აგორდა, როდესაც ტოდ უაიტმა გაათანაბრა ანგარიში. უკვე ერთ წუთში იმავე პეტერსენმა მარიოს (3 პასი) დახმარებით კვლავ გაიყვანა წინ თავისიანები, ხოლო პერიოდის შუაგულში გამუდმებით დაცვაში მომუშავე ოტაველებმა ორჯერ ზედიზედ დაარღვიეს თამაშის წესები, რაც ჩინებულად გამოიყენეს „პინგვინებმა", 63 წამის განმავლობაში ლანგმა და ისევ პეტერსენმა სამამდე გაზარდეს სხვაობა და ფაქტობრივად გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი, მით უმეტეს, რომ პერიოდის დასრულებამდე პიტსბურგმა კიდევ ერთი გოლი შეაგდო, თანაც ლანგმა ეს უმცირესობაში მოახერხა.

მატჩის შემდეგ კეჰუზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა. „ნერვიულობისგან ლამის მუცლის გვრემა დამემართა, მაგრამ მადლობა ბიჭებს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს ჩემს დასამშვიდებლად" — განაცხადა კეჰუმ ნამატჩევს და იქვე დასძინა, რომ ლემიეს და პეტერსენს მომდევნო მატჩებში ერთად გაამწესებს.

რაც შეეხება სხვა თამაშებს, როგორც ჩანს, სასტარტო სიურპრიზები ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება. მაგალითად მინესოტა ჯერ სულაც არ აპირებს მარცხს. მეტიც, აარონ გეივის არცთუ გამართლებული ჯარიმა მხოლოდ ბოლო წუთებზე გამოიყენა სანხოსელმა მაიკ რიჩიმ, რითაც შარშანდელ დებიუტანტს ქულა გამოჰგლიჯა. ასევე ლიგაში მეორე სეზონს მოასპარეზე კოლუმბუსმა დეტროიტს გაურთულა მატჩის დასასრული და დომინიკ ჰაშეკი რომ არა, ქულასაც გამოჰკრავდა ხელს. მე-8 გოლი ბრენდან შენაჰანმა გაიტანა, რომელიც სერგეი ფიოდოროვთან ერთად დეტროიტელთა შორის ყველაზე კარგად გამოიყურება.

სან ხოსეს დარად, ფილადელფიამაც ძლივს იხსნა თავი ატლანტასთან. „მფრინავები" მხოლოდ ბოლო მესამედში მოეგნენ გონს (უკვე მერამდენედ) და ჯონ ლეკლერის დუბლით ფრეს მიაღწიეს. ბუფალოსა და ნეშვილის თამაშშიც თავის გადარჩენისთვის ბრძოლა ისევ გამოცდილ მასპინძლებს დასჭირდათ, ხოლო კოლორადომ ტამპა მხოლოდ ჯო საკიკის თავგამოდებით დაამარცხა. „არაჩვეულებრივმა ჯომ" კვლავ დაამტკიცა, რომ „ელვებთან" თამაშის სპეციალისტია (11 გოლი და 17 პასი 18 მატჩში). ხუთი წაუგებელი მატჩის შემდეგ ედმონტონი საკუთარი შეცდომების მსხვერპლი გახდა. მეტოქე ტორონტომ მასპინძლებს მეორე პერიოდში სამი შაიბიდან ორი უმცირესობაში შეუგდო. ფლორიდის ლიდერმა პაველ ბურემ თავის ყოფილ გუნდ ვანკუვერთან ძალიან მოიწადინა, გოლიც კი გაიტანა. ოვერტაიმშიც მიეცა ჩინებული შანსი, რომელიც მეკარე დან კლუტიემ გაატანა ქარს.

**სამველ ღარიბიანი**



კორაჩის თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. 17 ოქტომბერი. თბილისი

# რა გესაქმებათ ევროპაში?!

**მაკაბი (თბილისი, საქართველო) 91:141 ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი)**
**19:34, 26:32, 14:36, 32:39**

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (11), დ. ბერიშვილი (16), წოწელია (16), ბაბიაშვილი (22), სუხიშვილი (19); ფიცხელაური (2), კეიდია (2), სარიშვილი (3), კრიხელი
**ავტოდორი:** გუტოროვი (2), ავლიაში (13), ვ. ხრიაპა (28), სტიუარტი (15), ერლი (18); ბაში (14), ივანოვი (7), აგეევი (11), ადამუ (15), მონია (18),
**მსაჯები:** ალექსანდრ ვოროცკი (ბელარუსი), ანდრეი ბასტანი (მოლდოვა)

**ირაკლი პირტაია**

ახლა, როცა ჩვენსა და ევროპას შორის სანაკრებო დონეზე ორი წლით ხიდია ჩატეხილი, ქართულ გუნდებს კონტინენტზე გამოსაჩენად მხოლოდ ევროთასები დარჩენიათ. რაღა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში კორაჩის თასზე ასპარეზობა ჩინებული რამაა, რათა ისედაც მომცრონი საკალათბურთო რუკიდან სულ არ გავქრეთ. ჰოდა, თბილისის „მაკაბიმაც" ზემოთ ნახსენებ თასზე განიზრახა ძალების მოსინჯვა. ბოლო ორი სიტყვა პირობითად ვახსენეთ, თორემ ქართული კლუბები რის მაქნისნი არიან, ეს ყველას კარგად მოეხსენება. თუ „მაკაბის" ბოლო თამაშს არ ჩავთვლით, ქართულ კლუბებს ევროთასებზე დღემდე 36 მატჩი გაემართათ და 32-ში დამარცხებულან. თქმა არ უნდა, კატასტროფული შედეგია და ეს ყველამ კარგად ვიცით. უკეთესად კი ამის შესახებ „მაკაბიზე" ბევრად ძლიერ და შეძლებულ ქართულ კლუბებს მოეხსენებათ, რომელთაც წესითა და რიგით მასზე უფრო მეტად ეკუთვნოდათ კორაჩის თასზე მონაწილეობა, მაგრამ მათ არ ისურვეს თავიანთ მაგალითზე ეჩვენებინათ ევროპისთვის ქართული კლუბების უსუსურობა. არ უნდოდათ, უეჭველი წაგებით ისედაც დაჩოქებული ქართული კალათბურთისთვის კიდევ ერთი წიხლი ეთავაზებინათ. იცოდნენ, საქართველოს ჩემპიონატში მოწინავეთა შორის ყოფნა საკმარისი არ არის, რომ ევროპულ კლუბებს რამეს გამორჩე. თუმცა ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს შარშან ამავე თასზე თავლაფდასხმულმა „მაკაბიმაც" იცოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ხელმძღვანელობა დანარჩენი კლუბებისგან განსხვავებული, ოლიმპიური პრინციპით ხელმძღვანელობს, როცა მთავარი მონაწილეობაა, შედეგს კი არ დაგიდევთ. ამან კი დღევანდელ ქართულ კალათბურთზე შესაძლოა, დამღუპველად იმოქმედოს. რატომ? იმიტომ, რომ გუშინ „მაკაბიმ" სპორტის სასახლეში 50 ქულით წააგო სარატოვის „ავტოდორთან", რუსეთის ჩემპიონატში ვერაფრით გამორჩეულ გუნდთან, რომელსაც ჩვენში ისეთი რეკლამა გაუწიეს, რომ მის შავკანიან მოთამაშეებს მატჩის დამთავრების შემდეგ აუარებელი არასრულწლოვანი ავტოგრაფის მთხოვნელი დაატყდათ თავს. ასეთი თბილისში ორიოდე წლის წინ მყოფ ევროპის მართლაც ვარსკვლავებს — ფუჩკას, ბაზილეს, თურქჯანსაც კი არ დასიზმრებიათ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მარცხი ყველაზე მწარე სილა იყო ჩვენი კალათბურთისთვის, რადგან დღეს, როცა ქართველი ახალგაზრდები ქვეყნის საზღვრებს გარეთ თამაშობენ და ნამდვილი კალათბურთის თამაშს სწავლობენ, მათი ქვეყნის იმიჯის ფეხქვეშ გათელვამ შესაძლოა მათ ავტორიტეტზეც უარყოფითად იმოქმედოს. ხოლო იმის დასტურად, როგორი ახალგაზრდობა გვყავს, ზაზა ფაჩულიას მაგალითიც კმარა, რომელმაც სპორტის სასახლეში არც თუ მცირერიცხოვანი მაყურებლისთვის თურქეთის შარშანდელი ჩემპიონატის პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშედ უსაფუძვლოდ მონათლული ამერიკელი ცენტრი, იმ დროს ანკარის ტელეკომელი ეისი ერლი ნახევარფინალური სერიის ერთ-ერთ მატჩში მიწასთან გაასწორა. გუშინ კი, თითქოს ფაჩულიასთან შერცხვენა ახსოვსო, ერლი თანაგუნდელებთან ერთად უმოწყალოდ აწიოკებდა მის გზააბნეულ თანამემამულეებს.

გასაოცარია „მაკაბის" მთავარი მწვრთნელის მოქმედება: თუ შედეგზე ფიქრობ, მაშინ, როცა შენი გუნდი პირველი ნახევრის შემდეგ 21 ქულას აგებს, გასახდელში კალათბურთელებს რჩევადარიგებები უნდა მისცე და არა ლატარია გაათამაშო. მაგრამ, როგორც ვთქვით, გუნდის უფროსებმა შედეგს მონაწილეობა არჩიეს და გუშინ ლატარიის გარდა მაყურებლებს კიდევ ბევრი შოუნომერი მოუმზადეს. არც გულშემატკივართა საუბარში მომიკრავს ყური იმედიანი სიტყვებისთვის. მგონი, წარმატებაზე მხოლოდ უშუალოდ საქმეში მყოფნი, მოედანზე ოფლში გაწურული მაკაბელები ფიქრობდნენ.

ქართული გუნდის თამაში თამაში მხოლოდ პირველ მეოთხედში თუ ეთქმოდა. ესეც რა თქმა უნდა, თუ მხოლოდ მოხვეჭილ ქულებს ვიგულისხმებთ, რომელთა მოპოვება მასპინძლებმა უთავბოლო სამქულიანების სროლის შედეგად მოახერხეს. ცნობისთვის, „მაკაბიმ" გუშინ 6 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ეს მას 32 სროლად დაუჯდა. ექვსმეტრიანი ხაზის მიღმიდან შეტევა, თუნდაც შენს წინ ერთი მოწინააღმდეგე, ხოლო ფარქვეშ ერთბაშად ორი თანაგუნდელი იყოს, აი, მაკაბელთა შეტევის მთელი ფილოსოფია.

პირველი ნახევრის ბოლოს ანგარიში დიდად კატასტროფული არ გახლდათ — 45:66. აი, მესამე მეოთხედში კი რუსებმა უკრაინელების მიერ ამხანაგურ ტურნირში ფაფხურის გამო „მაკაბისთვის" შერქმეულ მეტსახელში კორექტივები შეიტანეს და „მფრინავი ქართველები" „მხოხავ ქართველებად" გადააქციეს. უკრაინელი ვიქტორ ხრიაპა სასწაულებს სჩადიოდა. მან ჯერ ქართველებს უჩვენა, თუ როგორ უნდა სროლა, ხოლო მერე საერთოდ ფრენა დაიწყო. უამრავ ჩაჭრაზე რომ არაფერი ვთქვათ, მან არაერთხელ გადაატენა ბურთი მის შესაჩერებლად ამაოდ აღმართულ მაკაბელებს. რუსთა მოხსნებს ხომ თვლა აღარ ჰქონდა. მაგალითად, ეისი ერლმა და კებუ სტიუარტმა მასპინძელთა სამწამიანიდან ფარს რიგრიგობით ოთხჯერ შეუტიეს და ოთხჯერვე მოხსნეს, თუ საჭირო გახდებოდა, მეხუთედაც იგივეს გააკეთებდნენ, მაგრამ არ დასჭირვებიათ, რადგან ბურთი საბოლოოდ ჩაეშვა კალათში.

მესამე მეოთხედი 59:102 დასრულდა და ბოლო ათწუთეულში სარატოველთა მეორე მწვრთნელმა ვასილი სივერსმა (გუნდის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი როდიონოვი სარატოვში დარჩა) მოედანზე ხუთივე სათადარიგოს უხმო. ახალგაზრდებსაც დაწყებული საქმისათვის არ უღალატიათ და მასპინძლებს უარესი დღე აყარეს. ქართველების უსუსურობის დასტურად ისიც კმარა, რომ მათ რუსებს მხოლოდ საშუალო დისტანციიდან 72-ჯერ ასროლინეს, 44-მა სროლამ მიაღწია მიზანს. უკანასკნელ წუთებში, როცა თამაშმა ყველანაირი აზრი დაკარგა, თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთ მათგანს ყურები არ ჩამოუყრია და ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ მეორე შემადგენლობით მოთამაშე ავტოდორელების შესაჩერებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მაკაბელთა დაცვა ოდენ ქარის ტოლფას წინაღობას თუ უწევდა სარატოველებს და საბოლოოდ ქართული კლუბების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელი ჩაიწერა.

141 ქულა ქართული კლუბებისთვის დღემდე არავის ჩაუგდია, თუმცა ეს გუშინ საღამოს დარბაზში მყოფთაგან რამდენიმე კაცმა თუ უწყოდა. რაც მთავარია, 50 მათგანი „მაკაბი" — „ავტოდორის" მატჩის ბილეთის წყალობით კალათბურთის წლეულს დაბრუნებული ლეგენდის, მაიკლ ჯორდანის ნატურალური ზომის პლაკატის მოგებას ხარობდა.



გუშინ ავტოდორელმა ვიქტორ ხრიაპამ ჩატენვებით გული იჯერა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა. მეოთხე ტური

## E ჯგუფი

### იუვენტუსი 1:0 რუსენბორგი

1:0 ტრეზეგე (25)
იუვენტუსი: ბუფონი, ტუდორი, ტურამი, მონტერო, პესოტო, ძამბროტა, მარესკა (იულიანო 62), დავიდსი, ნედვედი (პარამატი 85), ტრეზეგე, დელ პიერო (სალასი 90)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
რუსენბორგი: არასონი, ბ. იონსენი, ჰოფტუნი, ბასმა, საარინენი, სკამელსრუდი, ელ ფაკირი (ცნერლი 46), ო. ბერგი, რ. სტრანდი, ბრატბაკი (ჯორჯი 60), რუშფელდტი (ფ. იონსენი 76)
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
38 642 მაყურებელი

### პორტუ 3:0 სელტიკი

1:0 კლეიტონი (1), 2:0 მარიუ სილვა (45), 3:0 კლეიტონი (61)
პორტუ: ოვჩინიკოვი, იბარა, მარიუ სილვა, ჟორჟე ანდრადე, კარვალიუ, კოშტინია (სოდერსტრიომი 81), პარედესი, დეკო სოუზა, კლეიტონი (რ. ჟუნიორი 75), ნუნუ კაპუშუ (პაულუ კოშტა 85), პენა
მწვრთნელი: ოქტავიუ მაჩადუ
სელტიკი: დუგლასი, მიალბი, ბალდე, ვალგაერენი, აგატი, ლამბერტი, ლენონი, ს. პეტროვი (სილა 66), ა. ტომპსონი (მორავჩიკი 55), ლარსონი, ჰარტსონი (მელოუნი 87)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: კოშტინია, კლეიტონი
მსაჯი: რენე ტემნიკი (ჰოლანდია)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| პორტუ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| რუსენბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | 1 |

## F ჯგუფი

### ბარსელონა 2:1 ლევერკუზენი

1:0 კლუივერტი (12), 1:1 რამელოუ (32), 2:1 ლუის ენრიკე (38)
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, კრისტენვალი, ფ. დე ბური, კოკო, ხავი (ხერარდი 49), კოკუ, ლუის ენრიკე, რივალდო (გაბრი 74), სავიოლა (დეიბერსონ ჟოვანი 78), კლუივერტი
მწვრთნელი: კარლის რექსაჩი
ლევერკუზენი: ბუტი, შნაიდერი, იენს ნოვოტნი (ოვჩკოვიჩი 46), ლუსიო, პლასენტე, რამელო (ბრდარიჩი 75), ბალაკი, ბაშთურქი, ზე რობერტო, კირსტენი (სებესკენი 75), ნოივილი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, პლასენტე, ლუსიო, კრისტენვალი, პუიოლი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
60 000 მაყურებელი

### ლიონი 3:1 ფენერბაჰჩე

0:1 ოქთაი (35), 1:1 გოვუ (45), 2:1 კარიერი (52), 3:1 დელმოტი (68)
ლიონი: კუპე, მიულერი, ედმილსონი, დელმოტი, შანელე, ვიოლო, კარიერი, ჟუნინიო პერნამბუკანო (ბრეშე 67), ფოე, გოვუ (ლინარესი 86), ლუინდულა (ნე 80)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ფენერბაჰჩე: რუშთუ, მერიჩი, ოგიუნი, დოგანი (დენიზი 23), აქდენიზი, უმით ოზატი, აბდულა, იუსუფი, რევივო (რაპაიჩი 73), ოქთაი, ლაზეტიჩი (გიუნეში 73)
მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი
გაფრთხილება: აქდენიზი, დენიზი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| ლევერკუზენი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

## G ჯგუფი

### მანჩესტერი 2:3 დეპორტივო

1:0 ვან ნისტელროი (7), 1:1 სერხიო (37), 1:2 ტრისტანი (38), 2:2 ვან ნისტელროი (40), 2:3 ტრისტანი (60)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი (სოლსკიაერი 85), რ. იონსენი (ვ. ბრაუნი 71), ბლანი, კინი, ვერონი, ბექჰემი, სქოულზი (ენდი კოული 63), გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
დეპორტივო: მოლინა (ნუნუ სიმოეში 46), ექტორი, დონატო, ნაიბეტი, რომერო (კაპდევილა 79), ვიქტორი, დუშერი, სერხიო, ამავისკა, ვალერონი, ტრისტანი (პანდიანი 82)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ვიქტორი, დონატო, რომერო, ვერონი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
65 585 მაყურებელი

### ოლიმპიაკოსი 2:1 ლილი

0:1 ბასირი (37), 1:1 ალექსანდრისი (54), 2:1 ნინიადისი (64)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ბერმუდესი (ამანატიდისი 46), ვენეტიდისი, ანატოლაკისი (ნინიადისი 63), პაცაცოღლუ, მავროგენიდისი, კარამბუ, ზეტერბერგი (ჯოვანი 46), პ. ჯორჯევიჩი, ალექსანდრისი, ოფორი კუაე
მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
ლილი: უიმბე, მურატი (ბეკი 84), სიგანი, ეკერი, ფაჰმი, ლანდრინი, ოლუფადე (პიშო 60), დამიკო, შერუ, ბაკარი (ბასირი 5), დელპიერი
მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
გაფრთხილება: ოფორი კუაე
გაძევება: ჯოვანი (88)
მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 4 | 2 | 2 | 0 | 8:6 | 8 |
| მანჩესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ლილი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |

## H ჯგუფი

### ბაიერნი 5:1 სპარტაკი

1:0, 2:0 პიზარო (7, 22), 3:0, 4:0 ელბერი (33, 52), 4:1 ბესჩასტნიხი (58), 5:1 ციკლერი (90)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი (ლინკე 85), ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ფინკი, პაულო სერჯიო (ციკლერი 78), კ. პიზარო, ელბერი (სანტა კრუზი 65)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
სპარტაკი: ლევიცკი, კოვტუნი, ჩუისე, პარფიონოვი, მიტრესკი, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ციხმეისტრუკი, ბესჩასტნიხი, რობსონი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: ფრანკ დე ფლეკერი (ბელგია)
15 000 მაყურებელი

### ფეიენოორდი 0:2 სპარტა

0:1 იაროშიკი (43), 0:2 ნოვოტნი (78)
ფეიენოორდი: ტიმერი, კოლენი (დეშ სანტუში 62), ვან ვონდერენი, დე ჰაანი, რესსა, ემერტონი, ბოსველტი, პაუვე, ლეონარდუ (კალუ 46), ვან პოიდონკი, ონო
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
სპარტა: პ. ჩეხი, გრიგერა, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ლაბანტი, სიონკო, ჰაშეკი, იაროშიკი, მიხალიკი (ზელენკა 89), ჰარტიგი, კინჩლი
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
გაფრთხილება: დე ჰაანი, სიონკო, ვან ვონდერენი, დე ჰაანი, დეშ სანტუში
გაძევება: ვან პოიდონკი (67), დე ჰაანი (74)
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:0 | 10 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 8 |
| ფეიენოორდი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:10 | 2 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:12 | 1 |




REUTERS პირეოსიდან

ოლიმპიაკოსი — ლილი. ანდრეას ნინიადისმა გატანაზეც იმუშავა და წართმევაზეც



REUTERS როტერდამიდან

ირჟი ნოვოტნის გოლმა „სპარტა“ მომდევნო ეტაპზე გაიყვანა




REUTERS მანჩესტერიდან

„დეპორტივოსთან“ შერცხვენილი ფაბიენ ბარტეზი




REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ლევერკუზენი. პატრიკ კლუივერტმა (№9) ჰანს იორგ ბუტს სავიოლას (№7) პასით გაუტანა

## ინგლისი

### I დივიზიონი

გადადებული მატჩები

ნოტინგემი 0:0 ბირმინგემი

როტერჰემი 0:0 კოვენტრი

## ჰოლანდია

### პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

ვიტესი 1:0 გრონინგენი

ბრედა 1:1 ტილბურგი

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი

პადერბორნი 0:1 ქემნიცი

## რუსეთი

### თასის 1/8 ფინალი

ტორპედო ზილ 0:0(პენ.4:2) ლადა



# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური 16-17 ოქტომბერი

### A ჯგუფი

ეფესი 87:78 ბენეტონი

ალბა 69:88 ოლიმპიაკოსი

უნიკახა 76:68 შარლერუა

### C ჯგუფი

ზადარი 79:83 პო ორტეზი

### D ჯგუფი

ოსტენდე 79:84 ურალ გრეიტი

აეკ 106:70 პარტიზანი

სკავოლინი 88:75 ციბონა

ტაუ 90:66 ვილერბანი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge